



MES 5 21 0000718759



16/07/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 02/07/2021

სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:35სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- 4. ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- 5. გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 6. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
- 7. ნიკ ათიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- 8. გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;

10. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

11. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

12. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

13. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

14. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირაკლი კორძაია	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მ/შ	I, II, III
2	თეა ქოიავა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	I, II
3	მარინა ქორიძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	I, II
4	მაია ვანიძე		„ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
5	ირინა ბეჟანიძე			I, II

			„ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
6	ენვერ ხალვაში		„ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
7	ნუგზარ ჭეღია		ასოცირებული პროფესორი	III
8	გოჩა ჩავლეშვილი		ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	III
9	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI
10	ანზორ აბშილავა		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	IV, V, VI
11	შალვა კელეპტრიშვილი		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI
12	გიორგი ჭიაურელი		„საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI
13	მარეხი სადუნიშვილი		ასოცირებული პროფესორი	IV, V, VI
14	ნუგზარ წერეთელი		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	IV, V, VI
15	მაია მშვილდაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV, V, VI
16	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI
17	ზურაბ საბაშვილი		„მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI
18	ომარ მიქაძე		„მეტალურგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონულ საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ინგა ბოჭორიძე,	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ინგა ლომაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
4	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
5	ვალერიან გობრონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	შალვა კვიციანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	არჩილ მაღალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, VI
11	ნანა ფირცხელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ომარი კვიციანი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
13	პარმენ ყიფიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
14	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტიჩინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია Chemistry
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №349, 25/11/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი BACHELOR OF CHEMISTRY
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის ქ. №35, ქ. ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 18 და 19 მაისს. 18 მაისს განხორციელდა საბაკალავრო პროგრამის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.1

ი საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“ მიზნები განისაზღვროს მკაფიოდ, იმ ცოდნის და უნარების შესაბამისად, რომელსაც პროგრამის შინაარსი რეალურად უზრუნველყოფს - ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფს ორი ძირითადი არგუმენტი ჰქონდა, ერთ-ერთი მათგანი გამომდინარეობს მიზნის ფორმულირებიდან, რომელიც განსაზღვრავს, რომ კურსდამთავრებულს ექნება ფართო ცოდნა ქიმიის ძირითად საბაზო სასწავლო კურსებში: არაორგანულ, ანალიზურ, ორგანულ და ფიზიკურ ქიმიაში, ასევე კოლოიდურ ქიმიაში, მაღალმოლეკულური ნაერთების, ქიმიური ტექნოლოგიის, ეკოლოგიური ქიმიის და სხვა ქიმიურ დისციპლინებში. იმის გათვალისწინებით, რომ მაგალითად, მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიას და ქიმიურ ტექნოლოგიას განსაზღვრული აქვს 5-5 კრედიტი, ფართო ცოდნის მიცემას სასწავლო კურსებში ვერ მიიღწევა. შესაბამისად, კარგი იქნებოდა მიზნების ეს პუნქტი ჩამოყალიბებულიყო როგორც ქიმიის ფართო ცოდნის მიცემა, რომელიც მიიღწევა შემდეგი სასწავლო კურსების ინტეგრირებული სწავლების საფუძველზე. პროგრამის კურიკულუმის ნაწილი მოიცავს შეფასებას მიზნების განსაზღვრისას, რაც საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტია და მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციაში იქნა აღწერილი მისაღები იქნებოდა, რადგან ამ მიზნის განსაზღვრის დროს ტექსტში არის შემდეგი ჩანაწერი: „ზოგადი განათლების მქონე კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტ-ბაკალავრის მომზადება“ ზოგადი განათლების შესახებ ჩანაწერთან მიმართებით წარდგენილია კონკრეტულ რეკომენდაციასთან მიმართებით;

ი პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გაასწოროს ტერმინოლოგიური შეუსაბამობები პროგრამის მიზნების განსაზღვრისას და უზრუნველყოს მეტად ადაპტირება დეტალურ სფეროსთან და ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერთან - თუმცა

ის სამი მოკლე ჩანაწერი, რომელიც არის პროგრამის მიზნებთან მიმართებით ასეთ შეუსაბამობებს არ მოიცავს;

კომპონენტი 1.2

ი გადაიხედოს და გასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგები, იმ მიზნით, რომ პროგრამის შინაარსმა უზრუნველყოს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა;

ი გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ სწორად განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე - შედეგების ჩამოყალიბება კურიკულუმის ნაწილში მოიცავს შეფასებასაც, რაც ზედმეტია კურიკულუმისთვის, ასევე არის ჩანაწერი, რომ დაგობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა, თუმცა ქიმიის მიმართულებით დარგობრივი სტანდარტი არ არსებობს და ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია გაიზიარა დაწესებულებამაც, მაგრამ ჩანაწერი გასასწორებელია და შესაბამისად, დარჩა სარკომენდაციო ნაწილში. სწავლის შედეგების რუკასთან მიმართებით განაცხადა, რომ სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“, რომელსაც სტუდენტები გადიან მე-6 სემესტრში, არის სამი სწავლის შედეგის (მე-2, მე-4 და მე-5 სწავლის შედეგი) მაფორმირებელი, ხოლო სასწავლო კურსები: მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია, რომლებიც მე-7 სემესტრში ისწავლება, პირველი დონით (გაცნობა) გადიან იმავე სწავლის შედეგებზე. ასევე იყო სხვა შემთხვევებიც. სტუდენტს აქვს არჩევანი საბაკალავრო ნაშრომს და „რეპეტიტორიუმი ქიმიაში“ შორის (10 კრედიტი), რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ჯგუფურ მუშაობას. შედეგების რუკაში მითითებულია, რომ ეს კურსი არის მე-2, მე-3 და მე-4 სწავლის შედეგის მაფორმირებელი. კურსის შინაარსი და სწავლების მეთოდი ვერ უზრუნველყოფს მაგალითად მე-2 სწავლის შედეგის ფორმირებას: „ბაკალავრს ექნება თეორიული ცოდნის კვლევით საქმიანობაში გამოყენების, კერძოდ, ლაბორატორიული კვლევების ჩატარების, ანალიზისა და განზოგადების უნარი, ვინაიდან რეპეტიტორიუმი მოიცავს სასემინარო მუშაობას და არ მოიცავს ლაბორატორიულ სამუშაოებს, შესაბამისად რთული იქნება კონკრეტულად ამ სწავლის შედეგის მიღწევა. სწავლის შედეგების შესაფასებლად შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც გარკვეულწილად წარმოადგენს მონიტორინგის გეგმას სწავლის შედეგების შესაბამისად. შეფასება უნდა განხორციელდეს სამიზნე ნიშნულების შესაბამისად. პროგრამაში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულები (I, II, III) შემუშავებულია გარკვეული კრებსითი სახით. გარდა იმისა, რომ მე-2 და მე-3 ნიშნული იდენტურია, ამავე დროს დასაზუსტებელია, როგორ მოხდება თითოეული სწავლის შედეგის შეფასება და ეფექტური მონიტორინგის განხორციელება, აღნიშნული საკითხი გასასწორებელია, თუმცა სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გააზრებული აქვს რა ნიშნულზე უნდა მივიდეს და თითოეული სწავლის შედეგზე ყველაფერი გაწერილია, თუმცა დაშვებულია ტექნიკური შეცდომები;

კომპონენტი 2.2

ი გადაიხედოს პროგრამის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა;

ი გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა, ინგლისური ენის განსაზღვრული დონეებით სწავლების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიმართულებით;

ი საბაკალავრო ნაშრომის/რეპეტიტორიუმი ქიმიაში წინაპირობად განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს I-VII სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსები;

კომპონენტი 2.3

ი გადაიხედოს სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის შინაარსთან. ასევე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების გაზომვის შესაძლებლობა;

ი გადაიხედოს სასწავლო კურსების ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განსაზღვრული საკონტაქტო საათები და შესაბამისობაში მოვიდეს სამუშაოს შინაარსთან;

ი გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და გასწორდეს საკითხების გადაფარვები შესაბამის სასწავლო კურსებში;

კომპონენტი 2.4

ი უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებს შორის დაიდოს ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის განსაზღვრის მითითებით, ვიზიტის განმავლობაში იყო შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულება განახლებას ითხოვდა და შესაბამისად გაოცა რეკომენდაცია;

მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დადებითია, პირველ რიგში აკადემიური პერსონალის, Scopus-ისა და Web of Science-ს ბაზებში ხილვადობა ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც პროგრესია ამ მიმართულებით, ასევე უნივერსიტეტის შესაძლებლობები და შეფასების სისტემა, რომელიც არსებობს, საკმაოდ დახვეწილია და უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ საქმიანობის მაღალ დონეზე განვითარებას, ასევე მნიშვნელოვანი პროგრესია მატერიალური რესურსების მხრივ, უნივერსიტეტი და აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს, მათ შორის საგრანტო პროექტებში დაწესებულების გაძლიერებას უზრუნველყოფს იმას, რომ მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება იყო დადებითი, ისევე, როგორც მეხუთე სტანდარტი და მისი მოსაზრებით მეოთხე და მეხუთე სტანდარტის დადებითი შეფასება უზრუნველყოფს იმას, რომ მომავალში პროგრამა განვითარდეს.

კომპონენტი 5.3

ი პროგრამის შედეგების, ანალოგი პროგრამების ანალიზის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით დაიგეგმოს პროგრამის განვითარების ღონისძიებები - ექსპერტთა ჯგუფმა პირველ შემთხვევაში მიიღეს ოთხი უნივერსიტეტის ჩამონათვალი საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით, შემდეგ მათ მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, ანალიზის სახით, თუ როგორ მოხდა დადარების პროცესი, თუმცა ამ შემთხვევაში მიიღეს გარკვეული პროცენტული დადარებისა და შემდეგ უკვე ჩათვალეს, რომ ამ შემთხვევაში, რადგან მონიტორინგი უზრუნველყოფს/განმახორციელოს მაღალ დონეზე სწორად შერჩევის საკითხია და დადარების პერიოდულობის საკითხი არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, ის ლინკები, რაც დაწესებულების მიერ იყო მიწოდებული არ იძლეოდა მკაფიო სურათს თუ როგორ ხდებოდა დადარების პროცესი, შესაბამისად, ამ მიმართულებით რასაკვირველია ხედავენ პროგრესს, რომ არის ჩამონათვალი და გააზრებულია თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხები, თუმცა მონიტორინგის ეფექტურობის თვალსაზრისით ძალაში დარჩა რეკომენდაცია.

მან მაღლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, განმარტა, რომ ძალიან რთულია მსგავსი ტიპის პროგრამის აღნიშნულ ვითარებაში შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მ/შ-მ, ირაკლი კორძაიამ, მაღლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფს, მან განაცხადა, რომ იყო ისეთი მიგნებები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის.

ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ირინა ბეჟანიძემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა, რადგან დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონის შესაბამისად, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“ „უნარიით“ ან/და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ აღწერილ სწავლის შედეგებს. მიზნები განსაზღვრულია მკაფიოდ, იმ ცოდნის და უნარების შესაბამისად, რომელსაც პროგრამის შინაარსი რეალურად უზრუნველყოფს, ამიტომ უნდა დარჩეს ფორმულირება ისე, როგორც არის.

დაწესებულება ნაწილობრივ დაეთანხმა მეორე რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელის თქმით ჩანაწერი - „პროგრამა მიმართულია დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის და უნარის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ“ - არასწორია, რადგან არ

არსებობს დარგობრივი სტანდარტი, შესაბამისად ჩასწორდა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „პროგრამა მიმართულია ცოდნის და უნარის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ“.

ინსტიტუციამ გაიზიარა მესამე რეკომენდაცია, მისი თქმით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის წარმოდგენილ სწავლის შედეგების რუკაში უფრო მკაფიოდ განისაზღვრა თითოეული სასწავლო კომპონენტი თუ რა დონით გადის სწავლის შედეგზე.

დაწესებულება ითვალისწინებს კომპონენტი 2.2-ში გაცემულ რეკომენდაციებს, გაასწორეს დაშვების წინაპირობები, ინგლისური ენა, საბაკალავრო ნაშრომის/რეპეტიტორიუმი ქიმიაში წინაპირობები. დაწესებულება ასევე ითვალისწინებს კომპონენტი 2.3-ში გაცემულ რეკომენდაციებს, რადგან საუბარი იყო ხარვეზებზე ლაბორატორიისთვის საჭირო საათების რაოდენობას და სხვა.

კომპონენტი 2.4-ში გაცემული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ ინსტიტუციას პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან აქვთ გაფორმებული მემორანდუმები და შესაბამისი ხელშეკრულებები, შესაბამისად, გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა რეკომენდაციები მემორანდუმში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. ასევე, განახლება მემორანდუმში შპს ბათუმის წყალთან, რადგან აღნიშნული მემორანდუმის ხანგრძლივობის ვადა 2020 წელს დასრულდა. 2021 წელს ორგანიზაციაში შეიცვალა ხელმძღვანელობა და მოხდა რეორგანიზაცია, ახალი ხელმძღვანელი აცხადებს სრულ მზადყოფნას მემორანდუმის განახლებისთვის. დამატებით, გაცნობებით, რომ შპს ბათუმის წყლის ხელმძღვანელები აქტიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავების პროცესში, როგორც დამსაქმებლები. ხელშეკრულების გაფორმება იგეგმება სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის განსაზღვრის მითითებით პრაქტიკის სხვადასხვა ობიექტთან.

კომპონენტი 5.3-თან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა და გარე შეფასების მექანიზმებით ადგენს პროგრამის განხორციელებაში არსებულ ხარვეზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ხდება მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც ნათლად ჩანს ექსპერტთა დასკვნის პროექტში. ანალოგიური პროგრამების შესწავლისა და ანალიზის მიზნით შეირჩა რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტი მათ შორის ნიდერლანდების რედფორდის, საფრანგეთის სორბონასა და სტრასბურგის უნივერსიტეტები. აღნიშნული პროგრამების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მსგავსების საკმაო მაჩვენებელი, რის საფუძველზეც სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, ასევე დაწესებულებას მათი ანალიზის საფუძველზე დაწვრილებით აქვს გაწერილი უცხოურ უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი საგნების შინაარსი და შესაბამისი სასწავლო კურსი მათ პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან მიმართა ექსპერტებს, რომ, როდესაც ისინი საუბრობდნენ მიზნების თანხვედრასა და კორექტირებაზე, დაინტერესდა თუ რა იყო კორექტირების მიზანი სასწავლო კურსის შინაარსი, ლაბორატორიული მეცადინეობები და ა.შ. იძლევა კვალიფიკაციაზე გასვლის შესაძლებლობას, მაგრამ აცდენილია მიზანი, თუ მიზანია სწორი და შინაარსია აცდენილი, შესაბამისად მიზანი უნდა მოერგოს შინაარსს. მისი მოსაზრებით წამყვანი ის საკითხებია, რაც სტუდენტებს ეძლევათ თეორიულ მეცადინეობებზე. ასევე დაინტერესდა შეამოწმა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა ლაბორატორიული ბაზა სასწავლო კურსებთან მიმართებაში, რადგან ერთია, როდესაც ინსტიტუციის ავტორიზაციის დროს არსებობს ლაბორატორია, მაგრამ მეორეა რამდენად შესაბამისია ორგანული ქიმიის, კლინიკური ქიმიის კუთხით და იმ გამტარებლობაზე რამდენი სტუდენტიც არის ლაბორატორიაში, ცხადია კითხვაში არ იგულისხმებოდა ქრომატოგრაფიული ბაზა, რომელიც

აღნიშნული უნივერსიტეტის გარკვეულ დაქვემდებარებაში იმყოფება, თუმცა გამოუსადეგარია სხვა კუთხით, მაგ., არაორგანული ქიმიის განხრით.

მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, განაცხადა, რომ შემდეგი კითხვა ეხებოდა ლაბორატორიული მეცადინეობის სასწავლო კურსებს ეხებოდა, სილაბუსში არ ჩანს რა სახის ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება, წერია თემა 1, თემა 3 და ა.შ. და 1, 2 ან 3 საათი ეთმობა, თუმცა არ იყო დასათაურება, რამაც გააჩინა კითხვა, რადგან დასათაურების შემთხვევაში გასაგები იქნებოდა საკმარისი იყო თუ არა გამოყოფილი დრო, მას წარმოუდგენელია ლაბორატორია, რომელიც შესაძლებელია 2 საათშიც ჩაეტიოს თუ არ იქნება სადემონსტრაციო ხასიათის. სასწავლო კურსის „ნივთიერების აღნაგობის“ შესახებ მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტი მისი ბაზების გამოყენებით ასწავლის ნივთიერების აღნაგობას, ეს არის თეორიული და ძალიან კარგი სასწავლო კურსია, მაგრამ დაინტერესდა ხომ არ იყო ზედმეტი ბაკალავრიატისთვის და როგორ ახერხებდნენ, რომ არ ჰქონოდათ გადაფარვა კვანტური ქიმიის საკითხებთან, რადგან ამასაც ასწავლიან, ამიტომ დუბლირებულად რამდენადა არის აუცილებელი ბაკალავრიატის დონისთვის, მისთვის უცნობია.

მას ძალიან მოეწონა, რომ თეორიული ქიმიის სასწავლო კურსი ტექნოლოგიებსაც შეეხება, ვინაიდან მათი დასაქმების სფერო, ძირითადად ინდუსტრიაა, მაგრამ ამ სასწავლო კურსებში ხვდებიან, მაგ., ზღვის წყლის ელექტროლიტებს, დაინტერესდა თუ რამდენად შეესაბამება ეს ინდუსტრიულ მოთხოვნებს, მითუმეტეს იმ ინდუსტრიულ მოთხოვნებს, რომლებიც საქართველოს გააჩნია. ასევე რამდენიმე ადგილზე შეხვდა გარკვეული პროდუქტის ინოვაციური წარმოების მეთოდები, რაშიც მისთვის გასაგებია, რომ საუბარია დაწესებულებასთან არსებულ საკმაოდ წარმატებულ ცენტრზე, მაგრამ ეს ძალიან უნიკალური, ლოკალური წარმოებაში ჯერ არ დანერგილი ტექნოლოგიებია და, როდესაც ასწავლიან სტუდენტს, რომელიც შემდეგ წავა ინდუსტრიაში ამ მეთოდებს ვერსად ნახავს, ამდენად კვლევის საკითხი, რომ იყოს მაგისტრატურის, დოქტორანტურის ან თუნდაც საბაკალავრო ნაშრომის დონეზე ძალიან კარგი იქნება, დაინტერესდა თუ რა ფორმით წარმოუდგენია დაწესებულებას რეგულარულ ლაბორატორიულ მეცადინეობებში მათი გამოყენება.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც დაწესებულებას ჰქონდა მომზადებული გამართული კვლევა, თუმცა იქ კვლევა ჩატარებული იყო 2018-ში, რადგან ბოლო მონაცემი 2017 წლის იყო და ამიტომ იქ არის პრობლემა იმისათვის, რომ დაწესებულებამ პირდაპირ გამოიყენოს შედეგები, მაგრამ ტენდენციის განსაზღვრისათვის ნამდვილად გამოდგებოდა, ამ შემთხვევაში რამდენად რელევანტურია 11 რესპოდენტი თუ იმ კვლევაში 103-დან 72-ის დაშვება ძალიან მისაღები მაჩვენებელია კრონზახის ალფისა, ანუ კვლევის შედეგები არის ვალიდური, ხოლო 11 რესპოდენტის გამოკითხვა ამ ფონზე ნაკლებად ვალიდურია, საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ აღნიშნული. ამავე საკითხთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ქიმიკოსი, რომელსაც აღნიშნული პროგრამა მოამზადებს უნდა წავიდეს და იმუშაოს კონკრეტულ საწარმოში, თუმცა არცერთი სასწავლო კურსით არ ექმნება სტუდენტს ელემენტარული წარმოდგენა ბიზნესის შესახებ, საუბარი არაა ბუღალტერიის საფუძვლებზე, რომელიც ასევე არ აწყენდა. მან საბჭოს წევრებს შეახსენა დუბლინის დისკრიპტორის ჩანაწერი, რომ გაყიდვების მენეჯმენტი ყველას უნდა ესწავლა და ამას ევროპული უნივერსიტეტები წარმატებით ნერგავდნენ. მისი მოსაზრებით საჭიროა სტუდენტს ჰქონდეს რაღაც წარმოდგენა და აღჭურვილი იყოს ელემენტარული ცოდნით.

ფინანსებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ 180 000 არის პროგრამის შემოსავალი, დაინტერესდა თუ რა აქვთ ზედნადები ხარჯების განსაზღვრის მეთოდოლოგია, 72 000, რაში ართმევს უნივერსიტეტი 40%-ს, ქიმიკოსის მომზადება იაფი საქმე არ არის ეს სიძვირე შემდეგ ბრუნდება უკუგებით, მარტივია მათემატიკოსების მომზადება დაფა და ცარცი, ქიმიკოსის მომზადებას კი ხარჯები სჭირდება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ, სწავლის შედეგებისა და მიზნების შეთავსების შესახებ განმარტა, რომ ფართო ცოდნის მიცემასთან მიმართებით, ქიმიის

მიმართულებით ფართო ცოდნის მიცემას პროგრამა უზრუნველყოფს, შესაბამისი სასწავლო კურსებით, შესაბამისი შინაარსით, მაგრამ კონკრეტული სასწავლო კურსებთან მიმართებაში ფართო ცოდნის მიცემის საკითხი, კონკრეტულად 2 სასწავლო კურსი ჰქონდათ მითითებული, „ქიმიური ტექნოლოგია“ და „მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია“, ამ შემთხვევაში ქიმიის საფუძვლების მიცემას უზრუნველყოფს და არა ფართო ცოდნის მიცემას, ანუ პირველ ნაწილთან მიმართებით ფართო ცოდნის მიცემა ქიმიაში უზრუნველყოფილია ამ სასწავლო კურსების კომპლექსური სწავლების საფუძველზე.

საბჭოს წევრის კითხვის მეორე ნაწილთან მიმართებით, მან განაცხადა, რომ პრობლემა არის უფრო შედეგების ჩამოყალიბების საკითხი, ვიდრე შინაარსთან თავსებადობის საკითხი, ძირითადი პრობლემა არის პასუხისმგებლობა/ავტონომიურობასთან მიმართებაში, რადგან კონკრეტული სასწავლო კურსების ფარგლებში რთულია მიღწევა კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიერ განსაზღვრული პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის სრული კომპეტენციების, ექსპერტთა ჯგუფს კონკრეტულად ჰქონდა მითითებული, მათემატიკის სილაბუსში მითითებულია, რომ „მიღებული ცოდნის საფუძველზე შეეძლება საინჟინრო ამოცანების შესაბამისი მათემატიკური მოდელების შექმნა და მათი გადაწყვეტა, მოსალოდნელი შედეგების დამუშავება, ანალიზი და შეფასება.“ ამ სწავლის შედეგის მიღწევა კურსის შინაარსით ვერ მოხდება, თუმცა ზოგადად პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აღნიშნული კომპეტენცია სტუდენტს არ სჭირდება, ანუ ეს არის უფრო სწავლის შედეგების ფორმირების პრობლემა ვიდრე შინაარსის. სასწავლო კურსების შინაარსი დეტალურ სფეროსთან მიმართებით განსაზღვრულ კომპეტენციებს უზრუნველყოფს.

ლაბორატორიებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრში ამ შემთხვევაში საბაკალავრო პროგრამისა და იგივე საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ასევე ამავე პროგრამის სტუდენტებისთვის კონფერენციების უზრუნველყოფა ხდება, თუმცა სასწავლო ლაბორატორიები გამოიყენება ამ მიზნით, რომლებიც კონკრეტულად ქიმიის მიმართულებით არის უნივერსიტეტში და არაორგანული ქიმიის ლაბორატორია, ორგანული ქიმიის ლაბორატორია და ა.შ. შესაბამისი აღჭურვილობა არის ლაბორატორიებში, არის პროგრესი როგორც ლაბორატორიული ავეჯის, ისე ხელსაწყო დანადგარების უზრუნველყოფის კუთხით, ვიზიტის ფარგლებში კონკრეტული ლაბორატორიების ჩატარების პროცესი არ განუხილავთ, თუმცა ორგანული ქიმიის ჩატარებისთვის შესაბამისი შესაძლებლობები ნამდვილად დაინახეს.

გადაფარვების შესახებ განაცხადა, რომ ნამდვილად არის და ასევე, არის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მათ დეტალურად გაიარეს აღნიშნული საკითხი აკადემიურ პერსონალთან და გაზიარებულ იქნა აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს წევრის მიერ საწარმოში წასვლასთან დაკავშირებული კითხვის შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, თუმცა სწავლის შედეგებთან მიმართებაში, რადგან იქ ჩანდა ეკონომიკურ ნაწილთან მიმართება.

14:42 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე, მან განაცხადა თვითაცილების, რომლის საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ირინა ბეჟანიძემ, ლაბორატორიულ სამუშაოებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ყველა სილაბუსში მითითებულია ლაბორატორიული სამუშაოების თემა, ან თუ მასწავლებელი კითხულობს რომელიმე თემას ქვევით წერია, რომ იგივე თემაზე კეთდება ლაბორატორიული სამუშაო და ჯგუფში მუშაობა. მისი მოსაზრებით ძირითად საგნებს, ორგანულ/არაორგანულ ქიმიას, ყველას უწერია კონკრეტულად, რადგან იყო ამაზე საუბარი და პროგრამის ხელმძღვანელის შენიშვნის შემდეგ გასწორდა. დროსთან დაკავშირებით განმარტა, რომ თუ საუბარია ორგანულ ქიმიაზე, იგი არ ატარებს სინთეზს, ამიტომ 4-5 საათი არ არის საჭირო, ტარდება ისეთ სამუშაო, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს დაწესებულების ტერიტორიაზე. რაც შეეხება, ფიზიკურ ქიმიას, სითბოების განსაზღვრას ტარდება 2 საათი და სრულიად საკმარისია, დისოციაციის სითბო,

გამოყოფილი სითბო, აორთქლების დრო და ა.შ. 2-3 საათი არის ლაბორატორიაში, მხოლოდ „ანალიზურ ქიმიასთან“ დაკავშირებით მიიღეს რეკომენდაცია, 1 საათი ეწერა მასალას და გასწორდა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განმარტა, რომ მან ხაზი გაუსვა ორგანული ქიმიის ლაბორატორიებს დროსთან დაკავშირებით, ქიმიაში და ანალიზურში, რომ 1 საათი საკმარისია მისთვის ცნობილია. მან განაცხადა, რომ „ორგანულ ქიმიაში“ წერია: „ლაბორატორიული მეცადინეობა თემა 15“, თემა 15-ში თუ იგულისხმება ჰეტეროციკლური ნაერთები, რასაც იქ ასწავლიან, მაშინ დაინტერესდა თუ რა ლაბორატორიას ატარებენ.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მაია ვანიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ თვითონ ხელმძღვანელობს სასწავლო კურს „ორგანულ ქიმიას“, რომლის ფარგლებშიც გაწერილია 2 ლექცია 2 პრაქტიკული და 3 ლაბორატორიული მეცადინეობა, ქიმიის მიმართულებაზე მისაღებ გამოცდად ქიმია აღარ ბარდება, ამიტომ სტუდენტები, რომლებიც აბარებენ აქვთ მხოლოდ სასკოლო ბაზა, შესაბამისად ისინი სკოლაში ნაკლებად ნახულობენ ლაბორატორიას, ამიტომ პირდაპირ ორგანული სინთეზით მათთან საუბარს ვერ იწყებენ, ეს მათთვის რთულია, რადგან არ იციან სპირტის ქიმიური თვისება, ალდიჰიდის მიღების ხერხი, კარბონმჟავების ქიმიური თვისება, ამიტომ ის 3 ლაბორატორიული საათი სრულიად საკმარისია მათთვის, რომ ისწავლონ მიღების ხერხი და ქიმიური თვისება, ეს არ არის რთული ექსპერიმენტი, რადგან სწავლობენ ორგანულზე დაშენებულ საგნებს, როგორცაა „სიცოცხლის ქიმიური საფუძვლები“ და „ბუნებრივ ნაერთთა ქიმია“, რომელშიც შედარებით რთული, ხელსაწყობთან დაკავშირებული ექსპერიმენტებია, სადაც სტუდენტები იყენებენ საბაკალავროს ბაზას, როგორც არის სპექტროფოტომეტრი და სხვა ხელსაწყობებს იყენებენ გამოთვალა-გაანგარიშებისათვის.

ლაბორატორიული მეცადინეობის თემატიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არ წერია, რადგან ძველად ეწერათ თემატიკაც და გვერდებიც, მათ სილაბუსში მითითებული არის ლექტორის დამხმარე ლიტერატურა, სადაც ლაბორატორიული მეცადინეობები გაწერილია თემების მიხედვით აქედან გამომდინარე, თუ ლექტორი განიხილავს თემას ალკანები, მასთან დაკავშირებულ ლაბორატორიულ მეცადინეობას მიწერი ჰქონდა გვერდებიც, შემდეგ რატომღაც იყო რეგულაცია, რომ გვერდები ამოიღეს სილაბუსებიდან და მანამდე მიწერილი იყო გვერდები, მანამდე ამის მიხედვით პოულობდნენ სტუდენტები სახელმძღვანელოებში და აკეთებდნენ დავალებებს, წინასწარ ეს ცდები, დავალებები ელექტრონული ვერსიით იტვირთება პორტალზე, დავალება მისდის სტუდენტს ყოველკვირეულად, თავის დავალებას დებულობს, მუშაობს, ლექტორს აბარებს, რაშიც იღებს შეფასებას, შემდეგ აკეთებს ექსპერიმენტს და საბოლოოდ აფორმებს ჟურნალს, რომლის პრაქტიკაც მიღებულია უნივერსიტეტში, რადგან სტუდენტი იქ წერს მიიღო თუ ვერ მიიღო აღნიშნული ნივთიერება ვიზუალურად და რა შედეგი დაინახა, სწორედ ამის შემდეგ ფასდება მეცადინეობა, შესაბამისად იმის პრობლემა, რომ სტუდენტმა არ იცის თუ რას ეძღვნება ლაბორატორია 1, მათ არ აქვთ, თემა განსაზღვრულია და პორტალზე მიდის დავალება.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ მას არ უკითხავს ლაბორატორიული პროცედურა, მან იკითხა თუ რა ცდას ატარებენ ალკანებში, დაინტერესდა, რადგან თვითონ ვერ ატარებს ზემოაღნიშნულ ცდებს საბაკალავრო კურსის შესაბამის ლაბორატორიებში.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ალკანებში ატარებს ცდას, ნატრიუმის რაღაცაზე ნატრიუმის აცეტატზე ნატრონის კირის მოქმედებას.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, შეახსენა მისივე კითხვა კვანტურ ქიმიასთან და გადაფარვებთან დაკავშირებით.

ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ნივთიერების აღნაგობა“ იკითხება „კვანტურ ქიმიამდე“. „ნივთიერების აღნაგობა“ არის

სასწავლო კურსი, რომელის გავლის შემდეგ სტუდენტები აძლევენ თავს უფლებას თქვან, რომ ქიმია იციან, ანუ იმდენად დაწვრილებით განიხილავენ ამ საგანს, თვითონ კითხულობს აღნიშნულ სასწავლო კურსს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ შრედინგერის განტოლებას ასწავლიან „კვანტურ ქიმიაში“ და „ნივთიერების აღნაგობაში“ დაინტერესდა თუ რატომ ასწავლიან ორ საგანში.

ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ნივთიერების აღნაგობაში“ აძლევს წარმოდგენას განტოლების არსებობის შესახებ, „კვანტურ ქიმიაში“ განიხილავენ შრედინგერის განტოლებას და უფრო დაწვრილებით განიხილავენ ყველა საკითხს.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაწესებულების წარმომადგენლებს ვერ დაეთანხმა საკითხში, რომ სტუდენტებს შეიძლება ქიმია შეუყვარდეთ აღნიშნული სასწავლო კურსით, რადგან იგი კლასიკური ქიმიისგან საკმაოდ შორს დგას და ერთ-ერთი ყველაზე რთული სასწავლო კურსია ქიმიის პროგრამებში.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ირაკლი კორძაიამ, ბიუჯეტის ნაწილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 40% ეხება იმ ნაწილს, რაც არის დაკავშირებული ძვირადღირებულ პროგრამებთან, დაწესებულების მიერ შეძენილია იმდენად ძვირადღირებული ლაბორატორიები, მასალები, რომლებიც გამოიყენება ექსპერტიზის დროს და შესაბამისად ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ძალიან დიდი მხარდაჭერით სარგებლობს აღნიშნული პროგრამა, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამები, რომლებიც არ არის შემოსავლიანი დაწესებულების წარმომადგენლები ანალიზებენ მათ მნიშვნელობას და მაქსიმალურად უჭერენ მხარს. ლაბორატორიული თვალსაზრისით და ის მასალები, რომლებიც სტუდენტებს სჭირდებათ, რომ გამოიყენონ ექსპერიმენტების ჩასატარებლად უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილია, რასაც გულისხმობს აღნიშნული 40%.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, თეა ქოიავამ, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 11 რესპოდენტი გამოწვეულია სტუდენტების დასაქმების რაოდენობის გაანალიზების შემდეგ და შესაბამისად, კითხვარები დაეგზავნა ორგანიზაციებს, სადაც გამოიკვეთა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ შესაძლებელი და აუცილებელიც არის, რომ რაოდენობრივად უფრო მეტი ჰქონდეთ, მაგრამ ეს არის ის რიცხვი, რომელიც დასაქმებასთან არის კავშირში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, შეახსენა მისივე კითხვა ეკონომიკურ/ბიზნესის საკითხების სწავლებასთან დაკავშირებით.

ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათ არ უფიქრიათ და არ აქვთ ბიზნესის კურსი, თუმცა აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიები, მემბრანული ტექნოლოგიები, დაყოფის მეთოდები, საწარმოო ქიმია, სადაც ეხებიან ბიზნესს, მაგრამ კონკრეტულად როგორ უნდა გაიმართოს ბიზნესი და ა.შ. მსგავსი სასწავლო კურსი არ აქვთ, თუმცა ძალიან კარგი კითხვა იყო და შესაძლებელია არჩევით კურსებში ჩასვან ბიზნესის სასწავლო კურსი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა, მარინა ქორიძემ, განაცხადა, რომ საბუნებისმეტყველო მიმართულება ზოგადად ძვირადღირებული დარგია, დაწესებულებას აქვს ინტეგრირებული ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი და უნივერსიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ფაკულტეტია სტუდენტების მხრივ და ფინანსურადაც, აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამა, რაც საშუალებას აძლევთ, რომ აღნიშნული რესურსი მიმართონ საჭიროებებისთვის. ბიუჯეტის მართვის შესახებ მან განმარტა, რომ ცენტრალიზებულია, მაგრამ ვინც სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფილა და დაუთვალა იერებია ფაკულტეტი, აღნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალობაზე საკმაოდ მოწესრიგებული ლაბორატორიები აქვთ, რომლებიც აკმაყოფილებს სამივე საფეხურის სასწავლო პროცესს.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია Chemistry
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №55, 12/03/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი Master of Chemistry
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	6010. საქართველო, ქ.ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32, უნივერსიტეტის II კორპუსი, მესამე სართული
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓

თვითაცილება განაცხადა გაიოზ ფარცხალაძე.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომლებიც არ მეორდებოდა საბაკალავრო პროგრამიდან:

კომპონენტი 1.2

ი გადაიხედოს სწავლის შედეგების ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმიის“ კონცენტრაციის მიმართულებით, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით - არის გარკვეული საკითხი, რომლებიც კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონესთანაა თავსებადი. მაგალითად, „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმიის“ მიმართულებით, გათვალისწინებულია „ეცოდინება ტექნოლოგიის საფუძვლები და მისი გამოყენების პერსპექტივები“;

ი გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ სწორად განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე - სწავლის შედეგების რუკის მიხედვით სასწავლო კურსი „ორგანული რეაქციების მექანიზმი“, რომელიც მე-2 სემესტრში ისწავლება, მესამე დონით გადის შვიდივე სწავლის შედეგზე, ხოლო სასწავლო კურსი „კვების პროდუქტების ანალიზი“, რომელიც მე-3 სემესტრში ისწავლება მეორე დონით ყველა სწავლის შედეგზე. ასევე, „მემბრანული პროცესების ფიზიკური ქიმიის“ კონცენტრაციაში „კომპლექსნაერთთა ქიმია, რომელიც მე-3 სემესტრში ისწავლება, პირველი დონით გადის ყველა სწავლის შედეგზე, ხოლო მე-2 სემესტრის სასწავლო კურსები, მაგალითად „ელექტროქიმია“ მე-2 დონით. ანალოგიური საკითხები იკვეთება სხვა კონცენტრაციების შემთხვევებშიც. სწავლის შედეგების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე;

კომპონენტი 2.2

ი გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმის სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, განისაზღვროს ის პროგრამის შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობით და შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში განსაზღვრულ წინაპირობებთან - მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სილაბუსში გასწორებული იყო აღნიშნული ხარვეზი მაინც გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია;

კომპონენტი 2.3

ი გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპეტენციასთან მიმართებაში და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის შინაარსთან. სწავლის შედეგების ფორმირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის შედეგების გაზომვის შესაძლებლობა;

ი გადაიხედოს სასწავლო კურსის უცხო ენა (ინგლისური ენა B 2.1, ინგლისური ენა B 2.2) კურსის სწავლის შედეგები, შინაარსი, ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან - რეკომენდაცია გაიცა, რადგან სილაბუსის მიხედვით რთული გასაგები იყო შინაარსი, რადგან დავალების ნომრები იყო და მითითებულია 10-10 კრედიტიანი სასწავლო კურსი;

კომპონენტი 2.4

ი უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის განახლდეს ხელშეკრულება, სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით - აღნიშნულ პროგრამაში „საწარმოო პრაქტიკა“ არის კონცენტრაციის მიმართულებით, ბოლო ორი კონცენტრაციის პრაქტიკა ხორციელდება ამავე უნივერსიტეტის კვლევით დაწესებულებაში, შესაბამისად არ იყო ხელშეკრულების აუცილებლობა, თუმცა ერთ კონცენტრაციასთან მიმართებით იყო ხელშეკრულება, რომელსაც ვადა ჰქონდა გასული, შესაბამისად რეკომენდაცია სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების გაახლების საკითხს ეხებოდა;

კომპონენტი 5.3

ი პროგრამის შედეგების, ანალოგი პროგრამების სწორად შერჩევის, ანალიზის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით, დაიგეგმოს პროგრამის განვითარების ღონისძიებები ამ შემთხვევაში ანალოგი პროგრამების ანალიზი იყო კონცენტრაციების მიმართულებით, რაც უფრო რთული იქნება შემდეგში აღნიშნული პროგრამის მონიტორინგისთვის, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია თუ რას როგორ ადარებენ და უფრო მარტივად მოხდეს პრაქტიკის გაზიარება.

ორივე პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა საუკეთესო პრაქტიკა: სტუდენტური პორტალს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი წინსვლაა ქართული უნივერსიტეტების რეალობაში, იმ თვალსაზრისით, რომ ერთ კონკრეტულ ელექტრონული სივრციდან შეუძლია სტუდენტს მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის სილაბუსების, პროგრამების შესახებ, მიიღოს ასევე ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, იურთიერთოს დამსაქმებლებთან. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მხრიდან პორტალი დადებითად არის შეფასებული და ექსპერტთა ჯგუფმაც გამოიტანა, როგორც საუკეთესო პრაქტიკა. სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში არის ძალიან კარგი მაჩვენებელი სტუდენტების სხვადასხვა სამეცნიერო გრანტებში ჩართვის, რაც ეხება, როგორც ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებს, ისე საუნივერსიტეტო და რეგიონში დაფინანსებულ გრანტებს, რაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა. ასევე პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა იმ დაწესებულებებში, რომლებიც არიან უნივერსიტეტის სივრცეში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია ვანიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის. მისი თქმით, დაწესებულებამ გაიზიარა პირველი რეკომენდაცია, ამოიღეს - „ტექნოლოგიის საფუძვლები“ და შედეგი ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „ბუნებრივ ეცოდინება ორგანული ნაერთთა ორგანული ქიმიის მიმართულებით ქიმიის რეაქციების მექანიზმები, ბუნებრივ ნაერთთა აღნაგობა, სინთეზის გზები და ანალიზის მეთოდები, ფიზიოლოგიური აქტივობა; ბიოკოორდინაციულ ნაერთთა თვისებები, სინთეზის მეთოდები, კვების პროდუქტების ანალიზის სტანდარტული მეთოდები; გაცნობიერებული ექნება ორგანული რეაქციების მექანიზმების თავისებურებები და მისი გამოყენების პერსპექტივები.“

ინსტიტუცია დაეთანხმა მეორე რეკომენდაციას, პროგრამით განსაზღვრულ ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებაში შეტანილი იქნა ცვლილებები სწავლის შედეგების რუკაში.

დაწესებულებამ გაითვალისწინა კომპონენტი 2.2-ში და კომპონენტი 2.3-ში გაცემული რეკომენდაციები. კომპონენტი 2.3-ის პირველი რეკომენდაციის შესახებ განმარტა, რომ დაწესებულებას დიდი დოზით მოუვიდა პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რადგან ქიმიკოსები ამას მტკივნეულად განიცდიან, ვინაიდან ეს არის ექსპერიმენტული მიმართულება. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კი განაცხადა, რომ დაიხვეწება ინგლისური ენის სილაბუსი და მასში შევა დარგის სპეციფიკასთან დაკავშირებული ლიტერატურა.

კომპონენტი 2.4-თან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე პრაქტიკის კომპონენტი დაემატა მიმდინარე აკრედიტაციის პროცესში, რაც დაამატეს კონცენტრაციის შესაბამისად, ნაკარნახევი იყო სტუდენტების გამოკითხვითა და

საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან შედარებით, პრაქტიკასთან დაკავშირებით იყენებენ უნივერსიტეტში არსებულ კვლევით ინსტიტუტს, რომელსაც აქვს საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ასევე იყენებენ სს „სეიბოლტ-ანალიტ ჰოლდინგ ბ.ვ.-ს წარმომადგენლობა ბათუმში“ ლაბორატორიას, რომელთან ხელშეკრულების ხანგრძლივობის ვადა 2020 წლის 25 დეკემბერს დასრულდა, თუმცა გამზადებულია, დაწესებულების მიერ ხელმოწერილია და ელოდებიან მათ ხელმოწერას, ასევე გააფორმეს 5 მემორანდუმი ინსტიტუციასთან არსებულ საწარმოებთან: ლუდის ქარხანა, კონცენტრატების ქარხანა, სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრი და სხვა.

ბოლო რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი იყო 11 ანალოგი, კონცენტრაციების მიხედვით, ანალოგებთან პროგრამის დადარება ხდებოდა სასწავლო კურსების თემატიკების გათვალისწინებით, ზუსტად ანალოგებთან დადარების შედეგი იყო პრაქტიკის, „ორგანიზმული რეაქციების მექანიზმების“ უფრო ვრცელი კურსის და სხვა შემოტანა, ჰქონდათ კვლევის მეთოდები და არ ჰქონდათ მონაცემთა ანალიზი, შესაბამისად გაიზიარეს უცხოური პრაქტიკა და დაამატეს „კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი“, რასაც უცხოეთში მოღვაწე ქართველი ლექტორი კითხულობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მან გადახედა სამაგისტრო ნაშრომებს და ამ დარგში რაც უნახავს მათ შორის ყველაზე ნორმალურია, თუმცა ქართულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქვა შენიშვნა, რადგან „ალკოჰოლები“ არ არის ქართული, უფრო სწორია „სპირტები“ ან „ალკანები“. მას გადაჭარბებულად უნდა სამაგისტრო-კვლევით ნაშრომში წიგნების მითითება, რაც არ უნდა ფუნდამენტური იყოს, შესაძლებელია ეს გადმოცემული იყოს პუბლიკაციებითა და კვლევებით. მას მოსწონს დაწესებულების მიდგომა, რომ სამაგისტრო ნაშრომი დაფუძნებულია იმ ნაწილზე, რომელიც რეალისტურია, კლასიკურ ორგანულ ქიმიამი რომ მაღალი დონის კვლევები გაკეთდეს არ იქნებოდა სწორი, რასაც არც აკეთებენ, მითუმეტეს ქრომატოგრაფიის სპეციალისტები ძალიან ცოტაა სხვა დანარჩენთან შედარებით. საბჭო წევრს ძალიან გაუკვირდა დაწესებულების წარმომადგენლის ბოლო ფრაზა, რომ ურჩიეს ანალიზის მეთოდების დამატება, დაინტერესდა თუ ვინ ურჩია და რას ასწავლიან აღნიშნულ სასწავლო კურსში, რა ანალიზის მეთოდებზეა საუბარი.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია ვანიძემ, დასძინა, რომ საუბარი იყო მონაცემთა ანალიზზე.

საბჭოს წევრისთვის გაუგებარი იყო სამაგისტრო კვლევებიდან გამომდინარე, თუ რა მონაცემებს აანალიზებენ და შემდეგ ასწავლიან სტუდენტებს.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს ნამდვილად სჭირდებათ მათ სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა კონკრეტულად ესაუბრა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა მონაცემებს აგროვებენ და რის გაანალიზებას აკეთებენ.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აკეთებდნენ მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს, ცდომილების განსაზღვრას, იმას, რასაც სთხოვენ ლაბორატორიები მათ სტუდენტებს, მათ შორის გრაფიკების აგებას და სხვა, ყველაფერს ასწავლიან აღნიშნულ სასწავლო კურსში.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული იყო 90% რუსულენოვანი ლიტერატურა და რამდენიმე უცხოური ლიტერატურა, არც ერთი ქართულენოვანი ლიტერატურა. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, არსებობს თუ არა ამ მიმართულებით ქართულენოვანი ლიტერატურა და მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურის დამუშავებას როგორ შეძლებს სტუდენტი იმ დროს, როცა პროგრამაში ისწავლება 4 უცხო ენა და ისიც არჩევითი საგნის სტატუსით. საბჭოს წევრმა დასვა მეორე კითხვა, 20 კრედიტიანი კონცენტრაციების სწავლის

შედეგებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მიზნებშიც და შედეგებშიც გამოყოფილია თუ რა ცოდნასა და უნარებს მიიღებს სტუდენტი, მაგრამ დაინტერესდა იძლევა თუ არა ასეთი ფორმულირება სრულფასოვან სურათს კონცენტრაციის შედეგების ნაწილში, როგორც ამას ითხოვს 69/ნ ბრძანება, კითხვა ეხებოდა პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის სწავლის შედეგს, რომელიც არ იყო შიგნით კონცენტრაციებში გაწერილი იმ დროს, როცა კონცენტრაციებში ისწავლება პრაქტიკაც. ასევე დაინტერესდა, იწერება თუ არა სამაგისტრო ნაშრომი კონცენტრაციების მიმართულებით, ვინაიდან სტრუქტურაში ერთხელ არის ნახსენები და კონცენტრაციებში არ არის ჩაშენებული

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შეცვლილია სიტუაცია, რადგან შრომის ბაზრის კვლევა 2013 წლის - არა რელევანტურია, 9 წლის წინანდელი კვლევა ტენდენციებს ვერ აჩვენებს, ზოგადად პანდემიის შემდეგ ძველი აღარაფერი აღარაა რელევანტური, რადგან ვითარება მკვეთრად შეიცვალა, მაგრამ ესეც რომ არ იყოს 9 წლის წინანდელმა კვლევამ შეუძლებელია ტენდენციებზე მისცეს წარმოდგენა. აქაც დაახლოებით 14 დამსაქმებელია გამოკითხული, სავარაუდოდ იგივე მიდგომით, სადაც ყველაზე ბევრი მათი კურსდამთავრებულია დასაქმებული, რაც არ არის სწორი მიდგომა, მარტივია მაგრამ არ იძლევა სწორ შედეგს.

მან მიმართა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ირაკლი კორძაიას, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ნამდვილად დგება საკითხი პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესახებ, რადგან დარჩენილ თანხებს შორის მარჯა ძალიან დაბალია და საჭიროებს განმარტებას. მან განაცხადა, რომ გადახედა ყველა სამაგისტრო ნაშრომს და მისი მოსაზრებით თვალშისაცემია რუსულენოვანი ლიტერატურა და ერთგან წაიკითხა „სახელმძღვანელო გარემოს დაცვის ტექნიკოსისთვის“ პირველ რიგში ეს არის სახელმძღვანელო და შემდეგ ტექნიკოსი არის პროფესიული დონე, ანუ მაგისტრანტი წერს ნაშრომს და იყენებს პროფესიულის სახელმძღვანელოს, რაც გარკვეულ შეუსაბამობებზე მეტყველებს და მისი ვარაუდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უნდა იმუშავონ აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კონცენტრაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ისინი პროგრამაში ცალკეა გამოყოფილი, თუმცა რამდენად სწორია, რომ კონცენტრაციის სწავლის შედეგები იყოს ისეთი ფორმულირებით, როგორიცაა „შესწავლა“, „გამოცდა“, რადგან ეს ხომ პროცესია და არა სწავლის შედეგი, მას თავისი ფორმულირება სჭირდება. მან გვერდი ვერ აუარა სილაბუსს სახელწოდებით „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები“, აღნიშნულ სილაბუსთან დაკავშირებით მას ჰქონდა რამდენიმე კითხვა-კომენტარი: (1) სასწავლო კურსი, რომლის მიზანია ასწავლოს მართვის სისტემები ხარისხში, ხარისხში იგულისხმება სტანდარტები, შიდა აუდიტი, მართვის სისტემები, ISO 9001, მან განმარტა, რომ თვითონ წლებია ISO სტანდარტებზე მუშაობს, ყველანაირ სტანდარტზე, გარკვეული ზომით. იგი დაინტერესდა თუ რამდენად მართებულია, როდესაც საუბრობენ მართვის სისტემებზე, აქ არ არის საუბარი კონკრეტული ქიმიური შენაერთის ხარისხზე, აქ საუბარია ხარისხის მართვის სისტემებზე, პრერეკვიზიტად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „ანალიზური ქიმიის თანამედროვე მეთოდები“, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენად რელევანტურია აღნიშნული სასწავლო კურსი მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე; (2) ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი კარგად არის აგებული, თავისი შედეგებით, თუმცა წარმოდგენილი ლიტერატურა არ შეესაბამება შინაარსს და შედეგებს სრულად ვერ ფარავს, შესაბამისად საინტერესო იქნებოდა დაწესებულების არგუმენტაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, დაინტერესდა, თუ რამდენად არიან კვლევითი ცენტრების თანამშრომლები პროგრამაში ჩართულნი, რადგან რამდენიმე ორგანიზაციაა ჩართული.

ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ირინა ბეჟანიძემ, განაცხადა, რომ ერთი ორგანიზაცია იყო.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა უცხოენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით იყო რეკომენდაცია, რომ სილაბუსებში გამოყენებულ იყო რუსულენოვანი ლიტერატურა, რაც შესწორდება, რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომში ძირითადად რუსულენოვანი წყაროების მითითებას, მისი მოსაზრებით ეს მოხდა, რადგან აღნიშნული მიმართულება რუსეთში კარგად იყო განვითარებული და ლიტერატურაც ხელმისაწვდომი, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ მათი პროფესორები სტუდენტებს ამუშავებენ ინგლისურენოვანი ლიტერატურით და ეს საბუთდება, იმითაც, რომ კონცენტრაციაში ანალოგებად განიხილავენ ევროპის უნივერსიტეტებს.

კონცენტრაციების შედეგებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შედეგებში კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად განხილული აქვთ ცოდნა-გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რადგანაც პროგრამა შედგენილია შემდეგნაირად 30 კრედიტი არის საერთო კურსები და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააკონკრეტა მისივე კითხვა, თუ რამდენად სწორია ფორმულირება თითოეული კონცენტრაციის მიხედვით შედეგების კონტექსტში, უნდა იყოს თუ არა შედეგები ასეთი ფორმულირებით.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რადგან კონცენტრაცია განიხილება, როგორც სპეციალიზაცია ცოდნა-გაცნობიერებაში ამ კონცენტრაციის შედეგი განსხვავდება, რადგან პრიორიტეტი არის ბუნებრივ ნაერთთა ორგანულ ქიმიაში ბუნებრივ ნაერთებზე გაკეთებული და ა.შ., მაგრამ უნარებთან დაკავშირებით ქიმიკოსს სჭირდება ანალიზის კეთება, კვლევის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება, ანალიზის შედეგების გაანალიზება და დასკვნის გამოტანა, მისი მოსაზრებით, რადგანაც ესეც არის ქიმიის მიმართულება პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გამოდის მიმართულებების სპეციფიკიდან, შესაბამისად დამივე კონცენტრაციას საერთო უნდა ჰქონდეთ.

სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ისინი კეთდება თითოეულ კონცენტრაციაში და ითვალისწინებს კონცენტრაციის სპეციფიკას, არის ნაშრომები, რომლებიც კეთდება ქიმიურ ექსპერტიზაში.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ეს არის ქიმიური ექსპერტიზის კონცენტრაციაში და მითითებულია ლიტერატურა, როგორც ISO სტანდარტების, ასევე ძველი სტანდარტული მეთოდები, ასევე კვლევის, მაგრამ მითითება მიღებულია და ლიტერატურა განახლდება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააკონკრეტა, რომ კურსზე დაშვების წინაპირობა არანაირ კავშირში არ არის მის შინაარსთან, ამ კურსს წინაპირობად მენეჯმენტის ელემენტარული საფუძვლები სჭირდება, მან გაიხსენა, საბჭოს წევრის, გიორგი ლაღანიძის მიერ საბაკალავრო საფეხურთან დაკავშირებით დასმული კითხვა. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სტუდენტს აღნიშნული სასწავლო კურსის დასაძლევად მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა სჭირდება, ისე მას ISO სტანდარტებზე, აუდიტის სტანდარტებზე, რეგლამენტებზე, სტანდარტიზაციაზე და სხვა, უბრალოდ ვერ აუხსნიან, როგორც ამ საქმის სპეციალისტი ისე ამბობდა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ ხარისხის მენეჯმენტში სიტყვა „მენეჯმენტი“ და კლასიკური მენეჯმენტი განსხვავდება ერთმანეთისგან, სინამდვილეში არის ომონიმები, ერთნაირად იწერება, თუმცა სხვადასხვა რამეს ნიშნავს, ეს სინამდვილეში ხარისხის კონტროლია, ქიმიაში ხარისხის კონტროლი უნდა ეთქვას.

საბჭოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა საბჭოს წევრს, რადგან კონტენტის მიხედვით ეს არის ISO 9001, ISO 19011 და სხვა, რომლებიც არის ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში როგორ აწარმოო პროცესები, პროცედურების შემუშავება, დალაგება, შემოწმება, 1-2 ნაწილშია ლაბორატორიული სამუშაო, რომელსაც ემატება ISO 27 025, ამიტომ მისი კონტენტი და სათაური სრულად შესაბამისობაშია, მაგრამ პრერეკვიზიტი აბსოლუტურად არ არის შესაბამისობაში მის შინაარსთან და ეს იქნება გასასწორებელი.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებს საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას.

შრომის ბაზართან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ბატონ ელიზბარს სთხოვეს და მან გადაუზავნა შრომის ბაზრის კვლევა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, განმარტა, რომ საუბარი არ იყო ბაკალავრიატის საფეხურზე, მხოლოდ მაგისტრატურაზე საუბრობდნენ, სადაც წარდგენილი იყო 2013 წლის კვლევა.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ უდევთ, როგორც 2013 წლის ასევე უახლესი კვლევები

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, განაცხადა, რომ საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის მიერ მომზადებული კვლევა უკვე განიხილეს.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მათ ჩაატარეს კვლევა დამსაქმებლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და დამსაქმებლებთან, სადაც მათი სტუდენტები დასაქმებულნი, უნივერსიტეტმა ჩაატარა კვლევა, როგორც ელექტრონული სისტემით, ისე სპეციალობის თავისებურებების გათვალისწინებით შეადგინეს ანკეტები და ანკეტებითაც ჩაატარეს კვლევა, რომლის ძირითადი მიზანი იყო მიეღოთ პროგრამის გარე შეფასება, ამ კვლევის ანალიზის შემდეგ პროგრამაში შეცვალეს რაღაც საგნები, მაგ., ჩვეულებრივი პრაქტიკა, რომელიც არ ჰქონდათ დამსაქმებელი აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო და შესაბამისად შემოიტანეს სასწავლო კომპონენტში.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ირაკლი კორძაიამ, პროგრამის ფინანსურ მზაობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არაერთხელ ჰქონდათ საუბარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ინსტიტუცია გამოხატავს მზაობას ბიუჯეტთა მიმართებით გარკვეული ცვლილებების შეტანის შესახებ, რათა უფრო ნათელი იყოს მათი მხარდაჭერა პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიტერატურის საკითხთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ 3.2 კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა შესაბამისი რჩევა, სადაც იგულისხმებოდა სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესაძლებლობებთან მიმართებაში სტუდენტების გადამზადების საკითხი. რაც შეეხება კითხვას სწავლის შედეგებთან მიმართებაში განსაზღვრული აქვთ 7 სწავლის შედეგი, აქედან 2 მათგანი ცოდნა-გაცნობიერებასა და უნარებთან მიმართებაში ჩაშლილია კონცენტრაციების მიმართულებით, უნარებთან მიმართებით ზოგადად არის მითითებული, რომ ექსპერიმენტის დამოუკიდებლად ჩატარების უნარ-ჩვევები აქვს, ფორმულირების შესახებ მან განაცხადა, რომ პროგრამაში ეწერა სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შესწავლა, ამ შემთხვევაში „შესწავლა“ გამოიყენება კვლევასთან მიმართებით, რაც ამ შემთხვევაში ფაქტორების გავლენის კვლევას გულისხმობდა.

პროფესიულის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა კითხვა, გადახედეს და სახელმძღვანელო ეხება მეთოდიკებს გარკვეული გარემოს დაცვის მიმართულებით, გარკვეულ კვლევებთან მიმართებაში მეთოდიკების თავმოყრაა, რაც რა თქმა უნდა არის პროფესიულის სახელმძღვანელო, მაგრამ საკითხები მეთოდიკებთან დაკავშირებით არ იცვლება და სამაგისტრო საფეხურზეც შეიძლება მისი გამოყენება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:30

დასრულების დრო: 16:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნებით; დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკა.
2. რეკომენდირებულია თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისა და ეფექტური მონიტორინგის განხორციელებისათვის, გასწორდეს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები.

რჩევები:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ქიმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „ქიმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ქიმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მკაფიოდ გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით. ასევე გადაიხედოს სწავლის შედეგების ცოდნა და

გაცნობიერების კომპეტენცია „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმიის“ კონცენტრაციის მიმართულებით, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;

2. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნით; დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკა.
3. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის "ხარისხის მენეჯმენტის პრინციპები" წინაპირობა და მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის განახლება.
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „ კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან.
5. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.

რჩევები:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები.
2. თვალსაჩინოებისთვის და მეტი სიცხადისთვის სასურველია სამაგისტრო ნაშრომი ჩაემატოს თითოეულ კონცენტრაციაში.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

16:10 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ჭალაღანიძე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტიჩინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტიჩინერია

		Electronics, Telecommunication and Internet Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №358, 25/11/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი Bachelor of Telecommunication
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ფიროსმანის ქ. N12, ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓

თვითაცილება განაცხადა გაიოზ ფარცხალაძე.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა,

როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მესამე, სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, თამთა ცხოვრებაძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა ინსტიტუციას თანამშრომლობითი გარემოს შექმნისთვის, რაც არგუმენტირებულ პოზიციაშიც აისახა, რადგან დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი.

ექსპერტთა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სილაბუსებში სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს კონკრეტულად, ცოდნის გამოყენების დონეების მითითებით, ისე რომ შედეგები იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის (მაგ. ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით) - ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით რეკომენდირებულია სწავლის შედეგების ფარგლები უნდა გაიწეროს ცხადად, იგულისხმება, რომ შედეგები უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი ყველა მომხმარებლისათვის და სასურველია გადაიხედოს სილაბუსის აბსოლუტური უმრავლესობა ამ მიმართულებით, რათა სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გასწორდეს ისეთი ფართოდ გავრცელებული შეცდომები, როგორებიცაა, ბუნდოვანი ტერმინების გამოყენება, „იცის“, „იაზრებს“, „იცნობს“ და ა.შ.
2. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად ჩაიწეროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის ყველა სავალდებულო საგანი - წარდგენილი საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობაში მითითებული გახლდათ სატელეკომუნიკაციო, საკაბელო ქსელების დაპროექტება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროს ყველა სავალდებულო საგანი, მათ შორის აკადემიური წერის საფუძვლებიც;
3. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში კონკრეტული საკითხების ნაცვლად გაიწეროს შესაბამისი აქტივობები კვირების მიხედვით და მორგებული იყოს განსხვავებული თემატიკის სადიპლომო ნაშრომებზე - არსებული რედაქციის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომის თემატიკა ითვალისწინებს შინაარსობრივ მითითებებს კვირების შესაბამისად და მომზადებულია კომპლექსური პროექტის შესაბამისად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით საბაკალავრო ნაშრომში არც თუ რეალისტური იქნება ყველა იმ თემატიკის დაფარვა, რაც სტუდენტმა 4 წლის მანძილზე საბაზისო დონეზე აითვისა;
4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შეფასების რუბრიკები გაიწეროს დეტალური კრიტერიუმების მიხედვით - რათა კრიტერიუმები გაიწეროს დეტალური კრიტერიუმების შესაბამისად, ამ რეკომენდაციას იზიარებს დაწესებულებაც;
5. უზრუნველყოფილი იქნას საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშეწყობი მექანიზმების შემოღება - დაწესებულება ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, გოჩა ჩავლეშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან პირველი რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ სწავლის შედეგებში, კერძოდ უნარებში ცოდნის გამოყენება გაწერილია კომპეტენციების რუკაში VI, VII, VIII, IX სწავლის შედეგებით. ამ შედეგებში ცოდნის გამოყენების დონეები ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების ცხრილში (1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება, 3 - გამტკიცება). რაც შეეხება სილაბუსებში შედეგების შინაარსობრივ მხარეს, ეს შედეგები შემუშავებული იქნა

აკადემიური პირებისა და პრაქტიკოსი ინჟინრების მიერ და დადგენილი იქნა ის უნარები, რომლებიც აუცილებელია „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია, ინტერნეტინჟინერიის“ მიმართულებით პრაქტიკული აქტივობების ჩასატარებლად. ამგვარად დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სწავლის შედეგები არის გაზომვადი და შეფასებადი.

დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული მეორე რეკომენდაცია.

ასოცირებული პროფესორი, ნუგზარ ჭედიას, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მესამე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად ძირითადი სწავლის სფეროს ყველა სავალდებულო საგნის ჩაწერას. ასევე, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შეფასების რუბრიკების დეტალური გაწერის შესახებ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საბაკალავრო ნაშრომში აქვთ ჩაშლილი კომპონენტები და აღნიშნულია რასთან არის დაკავშირებული ჩაშლები, 30 ქულიანია და 10-10 ქულად არის წარმოდგენილი, თუკი შენიშვნა ითვალისწინებს, რომ დაწესებულებამ მეტად უნდა ჩაშალოს კომპონენტები, ამას დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არის შენიშვნა, რომ კონკრეტული საკითხების ნაცვლად გაიწეროს შესაბამისი აქტივობები კვირების მიხედვით, აღნიშნულ საკითხს დაწესებულება ნაწილობრივ დაეთანხმა, აღნიშნული შინაარსი მიღებულია ბევრი მსჯელობიდან, დამსაქმებლებისგან მიღებული ინფორმაციით, ერთ-ერთი პრაქტიკოსი კი თვითონაც არის და აქვს 40 წლიანი გამოცდილება ამ საქმიანობის, მისთვის ცნობილია თუ როგორ ხდება ბაზარზე კურსდამთავრებულის დასაქმება და რომელი უკეთესი კუთხით უნდა მომზადდეს ბაზრისთვის, აქედან გამომდინარე დანარჩენ დამსაქმებლებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად იქნა შემუშავებული ნაშრომის შინაარსი. კვირების მიხედვით აქტივობების შესახებ მან განაცხადა, რომ რაღაც ნაწილი გაწერილია, მაგრამ დანარჩენი ეხება თემატიკას, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ მოხდეს სტუდენტის/კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის უფრო დაშლა, რათა უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი ამ დარგში, აქედან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩადებულია რამდენიმე საკითხი ქსელის დაპროექტების შესახებ, ეს არს სატელეკომუნიკაციო, საკაბელო ქსელების დაპროექტება, აქ ჩადებული საკითხია, რომ სხვადასხვა მიმართულებებით მომზადდეს სტუდენტი და გათვითცნობიერებული იყოს სხვადასხვა ქსელში, რადგან ყველა კომპანიაში ამ მიმართულებებით არ არის ინტეგრირებული, რომ ყველა ერთად იყოს გაერთიანებული. მაგ., შესყიდვების სამსახური, საიდანაც იქნა შემოტანილი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესყიდვების სააგენტო კერძოდ, არის ტენდერები სატელეკომუნიკაციო მიმართულებით, სხვადასხვა ქსელებთან დაკავშირებით, მონტაჟები, დემონტაჟები, რეაბილიტაცია და სხვა, რაც მნიშვნელოვნად იქნა ჩადებული ნაშრომში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი, მიესალმა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, გამოხატა პატივისცემა პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით, რადგან ძალიან კარგად არის აგებული, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი, სახელწოდება არის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია“ საკმაოდ აქტუალური მიმართულებებია და გამართლებულია, სტუდენტების მიღება ყოველწლიურად იზრდება, როგორც თვითშეფასების ანგარიშში არის წარდგენილი, ელექტრონიკისა და ინტერნეტინჟინერიის ნაწილში განაცხადა, რომ ეს პროგრამის მიზნებში ჩანს და პროგრამის დასახელება გამართლებულია, მაგრამ პროგრამის შიგთავსი ლაბორატორიული, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, ლიტერატურა, ამ კუთხით რამდენად აქვს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს ფართო ცოდნა, რომ სამივე მიმართულებით იყოს დასაქმებული. დაინტერესდა, თუ სად გადიოდნენ პრაქტიკის კომპონენტს აღნიშნული პროგრამის სტუდენტები, პრაქტიკის დროს რომელ მიმართულებებზეა ყურადღება გამახვილებული, სამივე მათგანი იფარება და დასაქმების

ბაზარიც სამივე მიმართულებით არის. ასევე, დაინტერესდა სტუდენტ-ექსპერტის მოსაზრებით, თუ რა იყო საფუძველი იმისა, რომ იყო რეკომენდაცია სტუდენტთა ჩართულობაზე გაცვლით პროექტებში მონაწილეობის კუთხით, რაც თავის მხრივ შინაარსობრივად მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, სთხოვა ყურადღება გაემახვილებინა პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე, თუ რამდენად არის საერთაშორისო პრაქტიკა გამოყენებული და სტუდენტთა ჩართულობა რა დონეზეა, რადგან აღნიშნული საკითხი გახდა რეკომენდაციის საფუძველი.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, მიესალმა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ძალიან კარგია მხოლოდ ინგლისური ენას სთავაზობენ სტუდენტებს, რადგან შეესაბამება სფეროს აქტუალურობას, მაგრამ მას გაუჩნდა 2 კითხვა, დაინტერესდა თუ რამდენი კრედიტი უნდა გაიაროს სტუდენტმა ჯამში, რადგან შეთავაზებულ ინგლისური ენის პაკეტში ენის გასწვრივ მხოლოდ ერთხელ არის დაფიქსირებული 5 კრედიტი; ასევე დაინტერესდა რამდენად რელევანტურია სამივე პაკეტში ინგლისურის A დონით დაწყება, რადგან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენა არის პირველი და სავალდებულო ენა და B2-ით სრულდება მისი სწავლება.

საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე, მიესალმა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ დამატებითი დოკუმენტაციის საქალაქო დონეზე მოიძია ბაზრის კვლევის დოკუმენტი, რომელიც არის დამსაქმებელი გამოკითხვა, რეალურად გამოკითხვაზე აგებული და ყავს 9 რესპოდენტი, დაინტერესდა თუ რამდენად საკმარისია რესპოდენტთა აღნიშნული რაოდენობის გამოკითხვა, რა პრინციპით შეირჩნენ ისინი, რამდენად რეპრეზენტატიული იქნება კვლევა და შეიძლება თუ არა მათ მონაცემებზე დაყრდნობა.

რჩევასთან დაკავშირებით მან მიმართა სტუდენტ-ექსპერტს, რომ რჩევებში არსებობს შემდეგი ჩანაწერი „სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზრით სარგებლობის შესახებ სტუდენტთა ცნობიერებისა და უნარების განვითარებისთვის ხელშემწყობი მექანიზმების განმტკიცება“, დაინტერესდა თუ რა გახდა ამის საფუძველი, სად დაინახეს სიცარიელე, რადგან ეს სერიოზული რჩევაა, მითუმეტეს საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, თუ არ გაითვალისწინებენ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცდილებას, რისთვისაც ბაზრები რეალურად არსებობს, ალბათ ძალიან ცუდია.

მისი თქმით დასკვნაში წერია, რომ პედაგოგებს სჭირდებათ ტრენინგები სწავლების ახალი მეთოდების შესახებ, დაინტერესდა თუ რამ მისცათ აღნიშნულის დაწერის საშუალება.

საბჭოს წევრი, გიორგი ლაღანიძე, განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ირაკლი კორძაიასთან უკვე ისაუბრა ბიუჯეტის ნაწილზე, ბიუჯეტი უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმ ფორმით, რომ არ იწვევდეს კითხვებს მდგრადობასთან დაკავშირებით. მან გაიხსენა წინა პროგრამებთან დაკავშირებული ნათქვამი, რომ სტუდენტებს არ ასწავლიდნენ ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებსაც შეხება ჰქონდა მეწარმეობასთან და ბიზნესთან, თუმცა განსახილველ პროგრამაში არის სასწავლო კურსი „ინოვაციებისა და მეწარმეობის საფუძვლები“, მაგრამ მისი გაკვირვება გამოიწვია 2-მა კრედიტმა და 28 საათმა, რაც აბსოლუტურად არ არის საკმარისი, საგანი მისი შინაარსიდან გამომდინარე ძალიან ბევრ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გადის, როგორც მინიმუმ უნდა იყოს 5 კრედიტიანი, ავტორებს სთხოვა კონკრეტული თვალსაზრისით დაევიწროვებინათ ველი, რომ უფრო ადვილად მიღწევადი გამხდარიყო სწავლის შედეგები და ზოგიერთი სწავლის შედეგის რეფორმულირებაც ურჩია, რადგან კომპანიის შექმნა არ ჯდება კონტექსტში, საქართველოში კომპანიის შექმნა ძალიან მარტივია, პრაქტიკულად ერთ დღეზე მეტი არ სჭირდება, რაც ცნობილი და დადასტურებულია Doing Business-ის კვლევებით, ამიტომ სთხოვა დაწესებულებას გაეთვალისწინებინათ მისი დაჟინებული თხოვნა კრედიტების გაზრდასა და გარკვეული შინაარსობრივი საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, მიესალმა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მისი კითხვა გამომდინარეობდა პროგრამის დასახელებიდან, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია, მისი თქმით, დღევანდელი ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია ძალიან ახლო დარგებია, რადგან ინფორმაცია მსგავსი მეთოდებით გადაიციმა, თუმცა საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად არის ელექტრონიკა მათთან კავშირში, რადგან უფრო დიდი და საკმაოდ თვითმყოფადი სპეციალობაა, მაგ., ინტერნეტინჟინერიის სპეციალისტმა შესაძლებელია იცოდეს მოდემის ან რაიმე ვიდეო დაფის გამოყენება, მაგრამ რამდენად არის საჭიროება, რომ მან იცოდეს, მაგ., ჩიპის შეცვლა, რომელიც ელექტრონიკის სპეციალისტის საქმეა, მისი მოსაზრებით ეს სწავლების მეთოდის დაგეგმვაში, ლაბორატორიულ მეცადინეობებში ხდება ამ, ერთი შეხედვით, შეუსაბამობის გასწორება/სწორი მეთოდით სწავლება, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ აღნიშნულ საკითხზე, რაც პროგრამაში არ ჩანს და რეალურად ხორციელდება.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, მიესალმა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი კითხვა უკვე დაისვა „ინოვაციებისა და მეწარმეობის საფუძვლების“ შესახებ, რომ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრერეკვიზიტი. მისი თქმით სილაბუსების სწავლის შედეგების გაცნობისას ეუფლებოდა განცდა, რომ შინაარსი არ არის სწავლის შედეგებში კარგად ჩამოყალიბებული ფორმულირების გამო, დაინტერესდა აქვს თუ არა დაწესებულებას სილაბუსების, სწავლის შედეგების შემუშავების რაიმე წესი, რომელიც არეგულირებს მას და თუ არის ასეთი წესი, მაშინ სთხოვა განემარტათ თუ რატომ არის ასეთი სურათი.

ექსპერტმა, თამთა ცხოვრებაძემ, პერსონალის ტრენინგებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს რჩევის სახით ჰქონდა მითითებული დასკვნაში, რომ უნდა ჩატარებულიყო პერსონალის ტრენინგები სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რჩევა არ ეხება სწავლის მეთოდების შეფასებას ან განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხს. ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა გაურკვეველობა სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და სწორედ აქედან გამომდინარეობდა მათი პირველი რეკომენდაცია და რჩევა, ამ მიმართულებით პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

ექსპერტმა, ნიკა გიგაურმა, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკა დააფიქსირეს სტუდენტური პორტალი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და დაწესებულება ზრუნავს სტუდენტურ სერვისებზე. 3.1 კომპონენტის რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ შეეხებოდა გაცვლით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობას, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის განმავლობაში მოითხოვა ინფორმაცია, თუ რა გაკეთებულა სტუდენტების საერთაშორისო მობილობის კუთხით ბოლო 5-10 წლის განმავლობაში, თუმცა ამ მიმართულებით გამოსასწორებელი იყო მდგომარეობა, მაგრამ მისასალმებელია ის, რომ თვითშეფასებაშიც ჰქონდა დაწესებულებას აღნიშნული და იზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციას, ერთ-ერთ პასუხად მიიღეს ენის ბარიერების არსებობა, რის გამოც განახლებულ პროგრამაში შეეცადნენ, რომ გაემლიერებინათ ენის კომპონენტი, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მოკლევადიან პერიოდში ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაეხმარებათ სტუდენტებს, თუმცა სტუდენტებთან გასაუბრების დროს იყო გარკვეული უზუსტობები თუ რა შესაძლებლობები ჰქონდათ საერთაშორისო მობილობის კუთხით, შესაბამისად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს აღნიშნული საკითხი.

მისი თქმით, უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, რაც შეამოწმეს ვიზიტის დროსაც, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ მათ ფაქტობრივად არ ჰქონდათ ინფორმაცია, არ იცოდნენ რა ბაზები არსებობს, როგორია წვდომა და ა.შ. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საერთაშორისო ბაზების გამოყენების ინსტრუქცია, თუმცა ინდივიდუალურ დონეზე სტუდენტებმა არ იცოდნენ, სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია.

ექსპერტმა, შალვა კვიციანი, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არის ელექტრონიკის ლაბორატორია და ის კომპლექტები, რაც საჭიროა გენერატორის სიგნალების გადასამუშავებლად და სხვა.

ელექტრონიკის კავშირზე, ტელეკომუნიკაციასა და ინტერნეტინჟინერიასთან განაცხადა, რომ აქტუალურია საგნების ინტერნეტი, რომელიც მოითხოვს ელექტრონიკის ცოდნა-უნარებს, რომ შეძლოს მისი გამოყენება. ასევე აქტუალურია მექატონიკა, რომლის საშუალებაც ასევე არის უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის, ირაკლი კორძაიას თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით გაჩნდა კითხვები, პერსონალმა არაერთი ტრენინგი გაიარა, რასაც ხარისხის სამსახური აორგანიზებს, აღნიშნულთან მიმართებით, დაწესებულება ზრუნავს, რომ მუდმივად იყვნენ პროცესში ჩართულნი და შესაბამისად ხელშეწყობა არსებობს. ბაზებთან წვდომის შესახებ მან განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტები ირიცხებიან უნივერსიტეტში, ინსტიტუცია აკეთებს შეხვედრებს, როგორც ბიბლიოთეკასთან, ასევე ბაზების გამოყენებასთან მიმართებით, მათ გაწერილი აქვთ სხვადასხვა სტრუქტურებთან შეხვედრები, პრობლემა, რომელსაც დაწესებულების წარმომადგენლებიც ამჩნევენ არის თუ როგორ იყენებენ სტუდენტები რესურსებს, რაც ექსპერტთა ჯგუფმაც აღნიშნა, რომ შემდეგი გამოყენება არის პრობლემატური, თუმცა დაწესებულება მუდმივად ცდილობს სტუდენტური პორტალის გამოყენებით ყოველთვის მიაწოდონ ინფორმაცია გაიდლაინების მეშვეობით.

ასოცირებული პროფესორმა, ნუგზარ ჭედიამ, კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ სატელეკომუნიკაციო სიგნალების საწყისი არის ელექტრონიკა, რომელიც დაკავშირებულია ციფრულ ელექტრონიკასთან, მოწყობილობების რადიო დეტალებთან და სხვადასხვა საკითხებთან, ამიტომ ელექტრონიკა არის ყველა მოწყობილობა, რაც სატელეკომუნიკაციო სიგნალთან არის დაკავშირებული, არის მოწყობილობები დაკავშირებული, რაც თავის მხრივ ელექტრონიკას უკავშირდება, აქედან გამომდინარე დასაქმება ხდება ელექტრონიკაშიც, ტელეკომუნიკაციაშიც და ინტერნეტინჟინერიაშიც. მისი თქმით ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია მთლიანად აღებული ტელეკომუნიკაციაა, სახელწოდება წარმოიშვა ტელეკომუნიკაციის უფრო ფართოდ გაშლიდან, ზოგს გონია, რომ თითოეულ მიმართულებაში სხვადასხვა საკითხებია, თეორიული საკითხები შესაძლებელია ერთი იყოს, თუმცა მიმართულებებია სხვადასხვა, დაწესებულებამ გააერთიანა ისინი და დაარქვა შესაბამისი სახელწოდება. ელექტრონიკაში დასაქმება მოიცავს სერვის ცენტრებს, რომლებიც მუშაობენ მოწყობილობების რეაბილიტაციაზე, მაგ., მობილური ტელეფონის, ტელევიზორების და ა.შ. ამ მიმართულებით დაწესებულებას აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები, სადაც მათი სტუდენტები დასაქმებულნი არიან; ტელეკომუნიკაცია მოიცავს მობილურ, ინტერნეტ ქსელებს და სხვა სარემონტო სამუშაოებს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ კურსდამთავრებული იღებს ტელეკომუნიკაციის ბაკალავრის ხარისხს, მაშინ, როდესაც მას განათლება შესაძლებელია გადრმავეული ჰქონდეს ელექტრონიკის თვალსაზრისით, დაინტერესდა თუ როგორ აღიქვამს ბაზარი აღნიშნულს, ხომ არ ექმნებათ პრობლემა ამ კუთხით კურსდამთავრებულებს.

ასოცირებული პროფესორი არ დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ, მაგ., 240-ვე კრედიტი ყოფილიყო ელექტრონიკაში, შეიძლებოდა და სახელი დაერქმეოდა ელექტრონიკა, თუმცა ტელეკომუნიკაციაში, როგორც ინტერნეტინჟინერია და ელექტრონიკა ეს საკითხები არის გაერთიანებული, შეუძლებელია ითქვას, რომ ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი ვერ იმუშავებს ელექტრონიკაში და ამის გამო უარი ეთქვას სამსახურზე, ასევე შეუძლებელია ითქვას თუ რატომ მუშაობენ ინტერნეტინჟინერიის სტუდენტები ინტერნეტში, რადგან ინტერნეტქსელები არის ტელეკომუნიკაციის ნაწილი.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, გოჩა ჩავლეშვილმა, განაცხადა, რომ როდესაც პროგრამის სახელი იყო ტელეკომუნიკაცია ახალგაზრდობას ეშლებოდათ და ეგონათ ტელევიზიის მიმართულება, აბარებდნენ და შემდეგ ერკვეოდნენ სად მოხვდნენ,

ახალგაზრდების ინტერესიდან გამომდინარე შეეცვალა სახელი, არა ტელეჟურნალისტი, არამედ ტექნიკური მიმართულება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა საბჭოს წევრის, მაკა კაჭარავას კითხვა უცხო ენის კრედიტებთან დაკავშირებით.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, გოჩა ჩავლეშვილმა, განაცხადა, რომ მათთან უცხო ენა ისწავლება 20 კრედიტის მოცულობით და სტუდენტს აქვს საშუალება დაჯდეს იმ დონის ჯგუფში, რომელსაც თვითონ შეესაბამება, რისთვისაც უცხო ენების ცენტრის ორგანიზებით ტარდება ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი და მისი შედეგის საფუძველზე ხდება სტუდენტების გადანაწილება შესაბამის ჯგუფში, თავიდან არის 5 დონე იწყება Beginner-ით და მთავრდება B2.1 დონით, შემდგომ ამ ჯგუფში ჩარიცხული სტუდენტი გადადის შესაბამის დონეზე და ასე აგროვებს 20 კრედიტს, სტუდენტი, რომელიც იწყებს Beginner-ით გადის A2.1 დონეზე, თუკი სტუდენტი ჩათვლის, რომ არ აკმაყოფილებს, მას აქვს საშუალება პროგრამაში გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების გამოყენებით გააგრძელოს ინგლისურის სწავლა.

მისი თქმით ბაზრის კვლევისთვის რესპოდენტები შეირჩა ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით, (1) უნდა ყოფილიყო თანახმა დაწესებულებასთან თანამშრომლობაზე და ნებაყოფლობით მიეღო მონაწილეობა; (2) უნდა ყოლოდათ დასაქმებული მათი კურსდამთავრებული.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას არ შეუსწავლია პოტენციური დამსაქმებლები და მოუწოდა მათი შესწავლისკენ, ასევე დაინტერესდა გეგმავენ თუ არა ბაზრის გაფართოებას.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ აღნიშნული 9 რესპოდენტი მოიცავს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს მათ რეგიონში.

საბჭოს წევრმა დააზუსტა ცდება თუ არა დაწესებულება რეგიონს.

ფაკულტეტის დეკანმა უპასუხა, რომ რეგიონსაცა არიან გაცდენილი, რადგან გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდა, მაგ., „სილქნეტი“.

„ინოვაციებისა და მეწარმეობის საფუძვლების“ შესახებ მან განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი გათვალისწინებული იყო მაგისტრატურაში 5 კრედიტის მოცულობით და გამოყოფილი იყო 45 საათი, ანუ კვირაში 3 საათი, შემდეგ აღნიშნული სასწავლო კურსი მოხსნეს მაგისტრატურიდან და გადაიტანეს ბაკალავრიატზე 2 კრედიტით/

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ ცოტა უცნაურია სასწავლო კურსის მაგისტრატურიდან ბაკალავრიატში გადატანა, რადგან სამაგისტრო კურსია, უბრალოდ საბჭოს წევრებმა არ გააღრმავეს საუბარი, თუმცა რამდენად შესაძლებელია მაგისტრატურიდან მოხსნა და ბაკალავრიატზე გადატანა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:59

დასრულების დრო: 17:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. სასწავლო კურსში „ინოვაციები და მეწარმეობის საფუძვლები“ დაზუსტდეს წინაპირობა, გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა და შესაბამისად, დაკორექტირდეს კურსის შინაარსი.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
2. სასურველია, გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

17:17 საათზე საბჭოს შემოუერთდა თამარ ჩხეიძე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო გეოდეზია Engineering Geodesy
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №415, 24/09/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო გეოდეზიის და გეოინფორმატიკის ბაკალავრი Bachelor of Geodesy and Geoinformatics Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., №77, თბილისი, სასწავლო კორპუსი №3, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓

დ ი ა ბ

თვითაცილება განაცხადა ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ გვიანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს სურდა აღენიშნა პროგრამის ძლიერი მხარეები, რომლებიცაა პროგრამის აქტუალურობა დარგისთვის, რაც დაადასტურა აბსოლუტურად ყველა დამსაქმებელმა და კითხვაზე თუ რამდენი სტუდენტის დასაქმებას

შეძლებდნენ, პასუხად კი იღებდნენ, რომ შეეძლოთ ნებისმიერი რაოდენობის სტუდენტის დასაქმება, რადგან დღეისათვის დარგში არსებობს მნიშვნელოვანი დეფიციტი ამ კვალიფიკაციის მიმართულებით. ძლიერ მხარეს წარმოადგენს კვალიფიციური აკადემიური/მოწვეული პერსონალი და ხარისხის მართვის სისტემა, ხარისხის მართვის საუნივერსიტეტო მიდგომები. რაც შეეხება ხარვეზებს, მათი შესწავლა მოხდა, როგორც ვიზიტის განმავლობაში, ისე ინტერვიუებისა და გამოთხოვილი დოკუმენტაციიდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგებში ხუთივე კონცენტრაციის შედეგები გაერთიანებულია, საჭიროა შედეგები გაიყოს კონცენტრაციების მიხედვით;
2. პროგრამაში უცხოური ენის სწავლება - უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს მექანიზმი, რომლის მეშვეობით მოხდება სტუდენტთა ჯგუფების დაკომპლექტება ენის ფლობის დონეების მიხედვით - დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტავს, რომ ხელმძღვანელობს ეროვნული გამოცდების დონეებით, სადაც დასტურდება B1 დონეზე უცხო ენის ფლობა, ამ შემთხვევაში გარკვეულ გაუგებრობას იწვევს წარდგენილი სილაბუსები, სადაც მითითებულია B1.1 და B1.2 დონე, რაც ერთიანობაში გვამღვებს B1 დონეს; ასევე ადამიანმა შესაძლებელია ჩააბაროს ეროვნული გამოცდები და დაუდასტურდეს უცხო ენის B1 დონეზე ფლობა, მაგრამ რეალურად ის ამ ენას ფლობდეს უფრო მაღალ დონეზე, არსებული რეგულაციებით/მიდგომით ყველა სტუდენტი შესწავლას იწყებს B1.1 დონიდან, რაც რიგ შემთხვევებში არა რელევანტურია თუ სტუდენტი უფრო მაღალ დონეზე ფლობს ენას;
3. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომ-ლებიც B2 დონეზე ფლობენ უცხო ენას და მისცეს მათ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათ-ლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში, სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს. რაც შეეხება უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილ კრედიტებს - აითვისებენ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ასევე, ამ შემთხვევაში, სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა, აღნიშნული კრედიტები, სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე;
4. სილაბუსებში სასურველია დაემატოს პრაქტიკის კომპონენტის შეფასება და პრაქტიკის განხორციელების პერიოდი იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსი ითვალისწინებს ინტეგრირებულ პრაქტიკულ კომპონენტს - აღნიშნულ რეკომენდაციას დაეთანხმა დაწესებულება;
5. შესაბამისი სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტების (პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების) შეფასებებში მინიმალური ზღვარის განსაზღვრა - რიგ შემთხვევაში არსებობს სასწავლო კურსები, სადაც დიდი ნაწილი უკავია ლაბორატორიულ/პრაქტიკულ სამუშაოებს, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია დასადასტურებელ შედეგებთან, მინიმალური ზღვარის წესი, რა მეთოდითაც ახლავს დადგენილი (30 ქულა), შეიძლება ისე დააგროვოს სტუდენტმა, რომ პრაქტიკულ სამუშაოებში საერთოდ არ ჰქონდეს მიღებული ქულა;
6. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა;
7. მომდევნო წლების ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის და პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარებისათვის ხარჯები - ადამიანური რესურსის განვითარების გარეშე ვერ განვითარდება პროგრამა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი წარმოადგენს პროგრამის ისეთივე მნიშვნელოვან

კომპონენტს, როგორცაა პროგრამის შინაარსი, აკადემიური პერსონალი და ა.შ., რაც არის ის ტექნიკური რესურსი, რომელსაც გაყავს შედეგზე, აღნიშნულ რესურსს, ზოგჯერ სჭირდება შეკეთება და სხვა, რისი ხარჯებიც გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის ბიუჯეტში;

8. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით;

9. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უსაფრთხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;

10. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ინფორმაციის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით - რაც არის კომპონენტის მოთხოვნა და ჩაწერილია მის ტექსტში, გარდა ამისა საჭიროა პროგრამის განვითარებისთვის, რომ გაითვალისწინოს საუკეთესო პრაქტიკები და მიდგომები, რომლებიც არსებობს უცხოეთში და რეალურად გამოადგება ნებისმიერი პროგრამის განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნია პოტენციალი, რასაც განაპირობებს ზემოაღნიშნული ძლიერი მხარეები და გარე შესაძლებლობები, რაც გამოიხატება დარგობრივ ორგანიზაციებთან და ბევრ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ურთიერთობით. მისი მოსაზრებით, სასურველია დაწესებულებამ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რომელიც მას გააჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილამემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა კელეპტრიშვილმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობისა და მისი სწავლის შედეგების საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით. წარმოდგენილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ზედმიწევნით აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, რაც შეეხება საკითხის განსჯას მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით, რაც ერთმნიშვნელოვნად ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. უნივერსიტეტმა, კონცენტრაციის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურებში ასახვისას, აკადემიური თავისუფლების სრული აღიარებით, გაითვალისწინა, როგორც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნები, ასევე წარმატებული და ხარისხის მაღალი სტანდარტის დასტურის მქონე (მაგ.: ABET აკრედიტებული) საგანმანათლებლო პროგრამების გამოცდილება, გარდა ზემოაღნიშნულისა, ბაკალავრები წინასწარ ინფორმირებულნი არიან თითოეული კონცენტრაციის შინაარსის და იმ კომპეტენციების შესახებ, რომელსაც განივითარებს სტუდენტი კონცენტრაციის გავლის შედეგად. მათ მიერ კონცენტრაციების

არჩევა ხორციელდება ელექტრონულად, სტუდენტის თავისუფალი ნების გამოვლენით და გამჭვირვალე პროცედურით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს პირველ რეკომენდაციას.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა მეორე-მესამე რეკომენდაციების შესახებ განაცხადა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითად მიზანს წარმოადგენს უცხოური ენების სასწავლო კურსების მოცულობის გაზრდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის ინტერნაციონალიზაციის ასპექტში. ასევე, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. მოცემული პროგრამის შემთხვევაში 3-ჯერ გაიზარდა უცხოური ენების კრედიტების რაოდენობა (6 კრედიტიდან - 20-მდე). გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ქვეყანის კანონმდებლობით ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს სხვადასხვა უცხოური ენის ჩაბარებას, რომელიც გათვლილია სამუალო მოსწრების აბიტურიენტებზე. უნივერსიტეტში უცხოური ენის სრული სასწავლო კურსის პირველი ნაწილის დაშვების წინაპირობაში მოცემულია - უცხოურ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგები. რაც ნიშნავს, რომ ყველა სტუდენტს აქვს ერთიანი კომპეტენცია უცხოურ ენაში. შესაბამისად, უნივერსიტეტი ახორციელებს სწავლებას B1 დონიდან, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. უნივერსიტეტში არსებობს მრავალფეროვანი ხერხები უცხოური ენების შესწავლისათვის, მათ შორის A1 დონიდან, მაგრამ ეს ეხება მეორე უცხოურ ენას. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით აღნიშნული საკითხი არ უნდა იყოს რეკომენდაციის სტატუსის მატარებელი. უნივერსიტეტი საკუთარი გამოცდილების შესაბამისად თავად გადაწყვეტს უცხოური ენის შესწავლის საკითხს მოთხოვნების შესაბამისად.

მეოთხე რეკომენდაციის შესახებ განმარტა, რომ დაწესებულება რეკომენდაციას ვიზიარებთ სასარგებლო რჩევის სტატუსით, რადგან სასწავლო კურსების ნაწილში, რომლებშიც ინტეგრირებულია სასწავლო პრაქტიკა (გეოლოგიის საფუძვლები) საკმაოდ დეტალურადაა გაწერილი პრაქტიკის კომპონენტის შეფასება, გაპარულია ხარვეზი, რადგან სასწავლო კურსებში არის პრაქტიკა, დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის შეფასება და გაწერილია ვადები, ბოლო 5 კვირა ტარდება ველზე, თბილისის მიდამოებში, ანუ პრეცედენტი არსებობს აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სასწავლო კურსები შედგენილია ამ დარგის აღიარებული სპეციალისტების მიერ, პროგრამის საჭიროებებისა და მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, აკადემიური თავისუფლების სრული აღიარებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის ავტორები, სილაბუსში შეფასების კომპონენტების და მეთოდების განსაზღვრისას, ასევე სასწავლო კურსების შუალედური შეფასებისთვის ზღვრული ქულების განსაზღვრისას, რა თქმა უნდა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, მისი ყველა შემდგენლის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში, შეფასების ეტაპები დაყოფილია კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის მოთხოვნის შესაბამისად. ტექნიკურ უნივერსიტეტში უნიფიცირებულად დადგენილი ამ საერთო დასახელების მქონე შეფასების ეტაპების ჩარჩოში, სასწავლო კურსის ავტორ(ებ)ი თავად განსაზღვრავენ, თითოეული ეტაპის ფარგლებში შეფასებისათვის გამოსაყენებელ ოპტიმალურ კომპონენტ(ებ)ს და მეთოდ(ებ)ს, რაც ასახულია შესაბამისი წესით დამტკიცებულ სილაბუსებში. ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი, სილაბუსის შესაბამისად ახორციელებს შეფასებას.

კადრების გაახალგაზრდავებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ მოცემული რეკომენდაცია თავისი არსით სასარგებლო რჩევის ხასიათს ატარებს. საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში მუდმივად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავების პოლიტიკა და დაკომპლექტებულია ახალგაზრდა კადრებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კონკურსები ტარდება ოთხ

წელიწადში ერთხელ არა პროგრამების, არამედ საგანთა ჯგუფების მიხედვით. 2017 წლის ბოლო ჩატარებული კონკურსის მიხედვით საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებულ 3 საკონკურსო ადგილიდან ორი ვაკანტური თანამდებობა დაკავებულ იქნა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ. რაც შეეხება ასისტენტის თანამდებობას, ამ მიმართულებით კონკურსი არ გამოცხადებულა, რადგან ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ დოქტორანტს და 2017 წლის მონაცემებით დეპარტამენტს არ ჰყავდა დოქტორანტები. დღეის მდგომარეობით დეპარტამენტში მუშაობს 4 დოქტორანტი, ახალი კონკურსი ჩატარდება 2021 წლის აგვისტოში და საკონკურსოდ გამოყოფილი იქნება, როგორც ასისტენტ-პროფესორების, ასევე ასისტენტების საკონკურსო ადგილები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის ერთ-ერთი ახალგაზრდა პერსონალი, გიორგი ჭიაურელი, რომელსაც ყავს ძალიან კარგი კოლეგები, მათ შორის აღნიშნულ პროგრამაში.

„საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჭიაურელმა, გაახალგაზრდავების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამა შედარებით ახალია, სილაბუსებს ყავთ ავტორები, რომლებთაც არ მიუღიათ 4 წლის წინ ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობა, ბევრ მათგანს არ აქვს შესაძლებლობა, რომ იყოს პროგრამაში წარმოდგენილი რაღაც სტატუსით, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით კონკურსის ჩატარების შემდეგ აღნიშნული მგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდება.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, 5.3 კომპონენტთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ მეთოთხმეტე პროგრამის აკრედიტაციაა და არცერთ სხვა პროგრამაში არ ყოფილა მსგავსი მინიშნება, მას პირადი ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფთან კამათიც მოუვიდა, რადგან მისი მოსაზრებით ეს არის რჩევა, რადგან რეკომენდაცია ეხება SWOT ანალიზს, პროგრესის შესწავლას, აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტს გათვალისწინებული ჰქონდა, რადგან თვითშეფასებაში იყო SWOT ანალიზიც და პროგრესიაც. მან განაცხადა, რომ პროგრესიამ გაუჩინა დიდი საფიქრალი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს სთხოვა განემარტა თუ რამ გაუჩინა საფიქრალი.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საფიქრალი გაუჩინა პროგრესიის შესწავლამ, შარშან მაგისტრატურაში საგრძნობლად გაიზარდა მაგისტრანტების რაოდენობა, ერთ-ერთ პროგრამაში 3-ჯერ გაიზარდა, მეორეში 2-ჯერ, არ ხდება ამის ანალიზი ერთ წელში, რადგან შეიძლება შემთხვევითია, უნდა დაელოდონ თუ რა მოხდება შემდეგ წელს, გაგრძელდება თუ არა ზემოაღნიშნული ტენდენცია, 2-3 წელი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია მექანიზმებში, თუმცა რეალური გათვალისწინების პრობლემაა, რათა სრულყოფილად იქნას განხორციელებული და ეს მათი ერთ-ერთი სამუშაო მიმართულებაა, უცხო ენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის საუნივერსიტეტო საგნები, რაც ისწავლება, ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითია უცხო ენა და როდესაც ქმნიან პროგრამას გათვლილია საშუალო მონაცემების მქონე აბიტურიენტზე, მისი თქმით ზოგიერთი ისეთი სტუდენტი ყავთ სურს მას ჰქონდეს მათი უცხო ენის დონე. შესაძლებელია ზოგიერთს არ სჭირდებოდეს და მუშავდება შესაძლებლობა მიეცეს ალტერნატიული ენის დამწყები დონიდან სწავლის საშუალება, თუმცა აღნიშნული სისტემა მუშაობს საუნივერსიტეტო დონეზე და გათვლილია ერთიანი ეროვნული გამოცდებით მიღებულ საშუალო დონის აბიტურიენტზე, პრაქტიკულად ის დონე, საიდანაც აწყებიან არ არის მხოლოდ B1, უბრალოდ დასახელება და წარმოადგენს რეალურ საჭიროებას, შედეგი კი რასაც უნდა მიაღწიოს მაქსიმალური საზრუნავია უნივერსიტეტისა, მიუხედავად კრედიტების გასამმაგებისა, რომ შედეგი იყოს მიღწეული ოპტიმალურად, უცხო ენა არის გამოწვევა, თუმცა

არა იმ კონტექსტში, რომ არ სთავაზობენ ალტერნატივას, რეალურად საჭიროება მოითხოვს, რომ შეთავაზებული იყოს კურსის ფარგლებში. მათ შორის დარგობრივი უცხო ენა, რომელსაც დარგობრივი სფეროს წარმომადგენელი წაიკითხავს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ 5.3 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გადაიტანდნენ რჩევაში, რადგან კომპონენტის პირდაპირი მოთხოვნით არის გათვალისწინებული და დატოვებს რეკომენდაციად. უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტს უდასტურდება B1 დონე, დაინტერესდა რატომ იწყებენ სტუდენტები უცხო ენის შესწავლას B1.1 და B.1.2 დონით, თუ პირს უდასტურდება B2 ან C1 დონეზე ინგლისური ენა, მაშინ მან რატომ უნდა ისწავლოს უფრო დაბალი დონიდან, ის ამ დროს კარგავს კრედიტებს და უწევს იმის დადასტურება, რასაც ის უკვე ფლობს, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გამომდინარეობდა იქიდან, რომ თუ სტუდენტი ადასტურებს მოთხოვნილზე უფრო მაღალ დონეზე ფლობს უცხო ენას, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ ანალოგიური რაოდენობის კრედიტები აიღოს თავისი სურვილით დაა შექმნას თავისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილი, დუბლირების გამორიცხვის გარეშე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრეცედენტი, რა გადაწყვეტილებაც აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით იქნება მიღებული ყველა პროგრამაზე მოახდენს გავლენას, მისი მოსაზრებით აბიტურიენტებს არ უდასტურდებათ B1 დონე, რეალურად ის, რომ გადალახა კომპეტენციის ზღვარი A2-ის შესაბამისი ტესტებით, გარდა მაგისა ის ცვლილებები, რაც სასკოლო განათლების ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ეს არ აძლევთ შედეგს აღნიშნულ სასწავლო წელს, მინიმუმ 5 წლის მერე დაინახავენ შედეგს, იქნება სპეციფიკა სასკოლო განათლებისა, ამჟამინდელი განათლება არ აძლევს საშუალებას, რეალურად საჭიროა.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა, კონკურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რის გამოც დაწესებულება ამბობს, რომ 4 წლის წინ ჩატარებულ კონკურსამდე არ ჰყავდათ ასისტენტ-პროფესორები, სწორედ ეს აღწერა დასკვნაში, თუკი ვინმე ჰყავთ ვინც დისერტაცია დაიცვა და სურს კონკურსში მონაწილეობა 4 წელი უნდა უცადოს კონკურსს, რაც შექმნის პრობლემას ახალგაზრდა პერსონალის დასაქმების კუთხით ეს პერიოდულობა ცალსახად პრობლემაა, აქაც მოქნილი უნდა იყოს უნივერსიტეტი.

მისი თქმით 2 პროგრამაში, სადაც თავმჯდომარე იყო ეწერა, რომ აბიტურიენტების მოზიდვის თვალსაზრისით რაღაც სამუშაოები ჰქონდა გატარებული, აღნიშნულ ფაკულტეტზე კი კონკურსი ბევრად დიდია, ვიდრე წინა პროგრამებზე, აღნიშნულ პროგრამას აქვს ის დადებითი მხარე, რომ ჰყავს სტუდენტები, რომლებიც წავიდნენ გაცვლით პროგრამებზე უცხოეთში, რაც არის იმის მაგალითი, რომ აღნიშნულმა სტუდენტებმა უკეთ იციან ინგლისური ენა, უფრო ამბიციურები არიან და ა.შ., აქაც არის სამუშაო, მაგრამ თუ შეადარებენ პროგრამებს, სადაც ვერ ავსებენ გამოცხადებულ ადგილებს სიტუაცია უკეთესია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, განაცხადა, რომ მან გადახედა პროგრამას და ყველაფერი ძალიან კარგად არის დალაგებული, თუმცა დაინტერესდა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თუ არა საინჟინრო ნაგებობათა გეოდეზიურ უზრუნველყოფას, რადგან თანამედროვე ნაგებობები მაღალსართულიანი, დიდი მოცულობის შენობებია, თუ საჭიროა მაგისტრატურის დონე.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, უცხო ენებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ძალიან კარგად არის ფორმულირებული რეკომენდაცია, მაგრამ მიიჩნია ის კარგ რჩევად და მიემხრო დაწესებულების პოზიციას, ვინაიდან გადახედა სილაბუსებს და მისი მოსაზრებით B1 დონით დაწყება არ წარმოადგენს პრობლემას და პროგრამის ხარვეზად არ ჩაითვლება, პრობლემა იქნებოდა თუ A დონით დაიწყებოდა ინგლისური ენის სწავლება, მეორე რეკომენდაციაც კარგ რჩევად მიიჩნია, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს დაუდასტურდა მაღალი B2 დონის

კომპეტენცია, დარწმუნებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახური აუცილებლად შეიმუშავებს მექანიზმს, თუ როგორ უნდა მოხდეს კრედიტების აღიარება და სხვა კრედიტებით/საგნებით მათი ჩანაცვლება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში გამოიკითხა 7 რესპოდენტი, მას აქვს გონივრული ეჭვი, რომ ეს ის 7 რესპოდენტია, რომელიც ამ პროგრამის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე იყო გამოკითხული, ანუ ეს არის ის Magic Seven, ყველა პროგრამაზე ყველაფერი იციან, რაც გასასწორებელია, რომ აუცილებელია შრომის ბაზრის კვლევის სისტემური ხასიათით ჩატარება.

მან დეტალურად გაიარა სილაბუსები და არცერთი კურსი არ არის ელემენტარული ეკონომიკა, თუნდაც არჩევითად, ეს ვერ იქნება რეკომენდაცია და არის რჩევა, რომ რაღაც ელემენტარული ეკონომიკა ან მენეჯმენტის საფუძვლები იყოს შეთავაზებული, რასაც არ სჭირდება სერიოზული წინაპირობა, თუ „მასალათმცოდნეობაზე“ სთავაზობენ არ იქნებოდა ცუდი მათაც რომ შეეთავაზებინათ.

ბიუჯეტის შესახებ საბჭოს წევრის თქმით, წარდგენილი ფორმა საშუალებას აძლევთ გააკეთონ დასკვნა, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის სკურპულოზურად განხილვა/შეფასებისთვის, ასევე ბევრი კითხვა, რომლებიც ისმეოდა ხოლმე პროგრამებთან დაკავშირებით მოხსნილია. მან განაცხადა, რომ, როდესაც მეექვსე რეკომენდაცია გაიწერა რეკომენდაციად ექსპერტებმა ინტერვიურების პროცესში ნახეს რაიმე რისკი, რომ არა ახალგაზრდა პერსონალი კურსებს ვერ უძღვებიან, და ა.შ, თუ რატომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია, მისი მიზანი არის, რომ ეიჯიზმში არ დასდონ ბრალი, რატომ უნდა განახორციელოს დაწესებულებამ და თუ არ განახორციელებენ რა საფრთხე დაემუქრება პროგრამის განხორციელებას.

საბჭოს წევრი დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენელთა პოზიციით სასწავლო კურსების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გვიანიშვილმა ახალგაზრდა კადრების მოზიდვის პოლიტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ძალიან მოთხოვნადები არიან პროგრამის კურსდამთავრებულები შრომის ბაზარზე, მათი მოტივაცია არის დასაქმდნენ დარგობრივ ორგანიზაციებში, საწარმოებში და ა.შ. სადაც მათი ანაზღაურება სოლიდურია და აქვთ ნაკლები მოტივაცია დასაქმდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის განმახორციელებლად. ასევე არსებობს გარკვეული ტრადიციები, რომლებიც უნდა გაგრძელდეს არა მხოლოდ ახლა, არამედ მომავალშიც, იმისთვის, რომ ეს მოხდეს უნდა არსებობდეს საკადრო რეზერვი, რომელიც არ იქმნება ერთ დღეში, ახალგაზრდები უნდა გაიზარდონ მათი გამოცდილი კოლეგების გვერდით, შეიძლება ადამიანი იყოს გადასარევი, ძალიან ძლიერი სპეციალისტი, მაგრამ აკადემიური საქმიანობის გამოცდილება არ ქონდეს. რეალურად ყველა კურსდამთავრებული, ვისაც გაესაუბრნენ, ამბობდნენ, რომ ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია თავისი სპეციალობით, უნდა შეიმუშავდეს მექანიზმი, რათა მოაზრუნონ უნივერსიტეტში, თუნდაც მოწვეული ლექტორის სახით, რომ გამოცდილება გაუზიარონ თუნდაც ბაკალავრიატის სტუდენტებს.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებული რჩევების შესახებ ექსპერტმა, არჩილ მაღალაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა აწყობილი და დალაგებულია, შესაბამისად ასეთი სახის ცვლილება მათი მოსაზრებით უმჯობესი იყო რჩევის სახით ფორმულირებულიყო და არა მკაცრი რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა, რომ წინაპირობებს ეხებოდა და ამიტომ დასვა აღნიშნული კითხვა. მან განმარტა, რომ რჩევად გაიცემა, რადგან თუ ცვლილება არ განხორციელდება არ შეუძლის ხელს სასწავლო კურსების მიღწევადობას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ მისთვის სასიხარულოა, რომ არ ფიქსირდება პრობლემა ბიუჯეტთან

დაკავშირებით. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შემავალმა ერთ-ერთმა სსიპ-მა სთხოვათ 5 სტუდენტი დამამთავრებელ კურსზე მოეძიებინა მათთვის, რომლებიც გაფორმდებოდნენ სამსახურში 2000 ლარიანი ხელფასით, საკმაოდ კარგი პერსპექტივით, მან ვერ იშოვა ასეთი სტუდენტი, იმდენად მოთხოვნადები არიან მეოთხე კურსელებიც კი უკვე პრობლემურია ამ ანაზღაურების კუთხითაც კი, შესაბამისად კადრების გაახალგაზრდავებასთან დაკავშირებით საუბრისას ძალიან მნიშვნელოვანია, ცალსახაა რომ ეს რჩევაა და რეკომენდაცია იქნებოდა, თუ ასაკიანი პროფესორი თავის საქმეს ვერ გააკეთებდა, თუმცა ასაკიანი ისეთი პროფესორები ყავთ ბევრ ახალგაზრდას ჯობია, სულ ველზე არიან, აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ თავის თავს მისცა რეაქრედიტაციამდე დიდი ხნით ადრე და იზრუნეს ამ საკითხზე. მან დასძინა, რომ ასისტენტ-პროფესორები ყავთ, დაამატეს ასისტენტები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ნათქვამი ფრაზა ძალიან უხარია, თუმცა ეს ადასტურებს, რომ 4 წლის წინაც ცუდად იყო გაკეთებული შრომის ბაზრის კვლევა და მას არ სურს 4 წლის მერეც იგივე შემთხვევა დადგეს, თუ არის შესაძლებლობა უფრო მეტი ხალხის მიღებისა უნდა მიიღონ, სწორედ ამიტომ არის საჭირო შრომის ბაზრის მოთხოვნების სწორი შეფასება.

„საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჭიაურელმა, განაცხადა, რომ აქ პრობლემა არ არის შრომის ბაზრის კვლევა, სინამდვილეში, აღნიშნულ პროგრამაში ვერ გამოჩნდება ძირითადი პროგრამა და ვერც უნივერსიტეტი მოაგვარებს, ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, ადამიანს შეუძლია მეტროპოლიტენის მშენებლობაზე აიყვანოს ნებისმიერი ადამიანი, სახელმწიფო არ ავალდებულებს, რომ ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია გეოდეზისტის არ მარჩეიდერის, ეს არის სამწუხარო რეალობა, რომელსაც როგორი კარგი პროგრამაც არ უნდა გაკეთდეს, რა რაოდენობის ბაზრის კვლევაც არ უნდა ჩაატაროს და რა რაოდენობის სტუდენტებიც არ უნდა მიიღოს ვერ შეცვლის.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებულ რჩევებთან მიმართებით განაცხადა, რომ ეს პირდაპირ კავშირშია ბოლო რეკომენდაციასთან დადარებასთან, რაშიც აბსოლუტურად დაეთანხმა, რომ კომპონენტის მოთხოვნაა, რომ უნდა ყოფილიყო დადარების აქტი, მას აზრად არ მოსვლია აღნიშნული აქტის გაკეთება, რადგან სად რა იყო მოთხოვნილი, რადგან მთლიანი პროგრამა უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით ჩამოყალიბდა, ბოლოს, როდესაც აკეთებდნენ უცხოურ უნივერსიტეტებში არ ჰქონდათ „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“, ეს იყო მისი ინიციატივით ჩადებული სილაბუსი, რომელიც მან ჩათვალა, რომ აღნიშნულ დარგში მომუშავე ადამიანმა უნდა გაიაროს გარემოს დაცვა, შესაბამისად ვერ იტყვის, რომ რჩევა არასწორია, თუმცა შეიძლება იქ არ ჩასვა, სადაც უნდოდა, რომ ყოფილიყო და სხვა სემესტრში ჯობდა, ეს იყო მისი პირადი გადაწყვეტილება.

პროგრამის ხელმძღვანელმა საბჭოს წევრის, გაიოზ ფარცხალაძის კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეძლებს თუ არა ეს რიტორიკული კითხვაა, თუმცა მას შეეძლო დაესახელებინა სახელები და გვარები ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების, რომლებიც მუშაობდნენ რიკოთის გვირაბებზე, აქსის თაურსზე, მათ ინტერვიუს დროს ჰქონდათ საუბარი, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი, ჩამოყალიბებულია კასტასავით და მას ძალიან უჭირდა სტუდენტის გაშვება იმ სტრუქტურაში, სადაც არ აყავდათ სპეციალისტი, ხშირად უნდათ კარგი სპეციალისტი, ითხოვენ კარგ სტუდენტს, მაგრამ ადგილზე არ ყავთ სპეციალისტი, შესაბამისად სტუდენტი იქ ვერაფერს ისწავლის. პროგრამის ხელმძღვანელი ცდილობს თავის სტუდენტებს მისცეს მიმართულება იმუშაონ ისეთ ორგანიზაციებში, სადაც ყავთ გამოცდილი კადრის, შესაბამისად მას შეუძლია თქვას, რომ შეუძლიათ, ეს შეიძლება არ იყოს პროექტირების დონეზე, თუმცა განხორციელების დონეზე შეუძლიათ.

ექსპერტმა, ნანა ფირცხელანმა, უცხო ენებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინტერვიუს პროცესი, რომელიც წარიმართა სტუდენტებთან ნათლად გამოიკვეთა, რომ ინგლისურის

სწავლების ის სისტემა რაც არსებობს დამაბრკოლებელია სტუდენტებისთვის, რადგან რიგ სტუდენტებს იმაზე მაღალი დონის ცოდნა აქვთ ვიდრე ვალდებულები არიან რომ გაიარონ კურსის ფარგლებში, ასევე გამოიკვეთა მეორე პრობლემა, რომ ისინი ვეღარ ავითარებენ ენას, ვერ ეცნობიან თანამედროვე ლიტერატურას და ვერ მონაწილეობენ გრანტებში, გაცვლით პროგრამებში და ა.შ., სწორედ ეს იყო აღნიშნულის რეკომენდაციად გაცემის მიზეზი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჭიაურელმა შრომის ბაზართან დაკავშირებით განაცხადა, რომ ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა არის ერთი საკითხი, რაოდენობის გაზრდის პრობლემა თუ არის მას აზრად არ მოსვლია, რომ ციფრი გაეზარდა, თუმცა პრობლემა არის ის, რომ გაკეთდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისთვის ერთად, აქცენტი არ ყოფილა გაკეთებული შვიდ ადამიანზე, ბევრად მეტ კომპანიასზე იყო გაკეთებული აქცენტი, თუმცა ბევრმა არ უპასუხა, შვიდიდან ერთ-ერთი არის ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის ზედამხედველობის სამსახური, რომელმაც უპასუხა, თუმცა თბილისის იგივე სამსახურიდან არ უპასუხეს, დაახლოებით 30-მდე წერილი იყო გაგზავნილი, თუმცა უმრავლესობამ არ უპასუხა, ზოგიერთს ურეკავენ ხოლმე, თუმცა ზოგჯერ ადამიანებს არ სცალიათ და უმნიშვნელოდ მიიჩნევენ ხოლმე, მექანიზმია დასახვეწი, მოთხოვნა გასაგებია, თუმცა არ არსებობს მექანიზმი. იგივე საჯარო რეესტრი, რომელთა კომისიის წევრი თვითონ არის გასაუბრებებზე, ყოველთვის ურეკავენ და უთანხმებენ საკითხს, მაგრამ პრობლემაა, დაურეკეს და უთხრეს, რომ სჭირდებოდათ 100 ჯგუფი, მაგრამ 100 ჯგუფი არის 200 გეოდეზისტი, თუმცა 200 გეოდეზისტი არ არსებობს, ისინი ასევე თანახმა იყვნენ, რომ აეყვანათ მეორე კურსელები, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელი არ არის თანახმა, რომ მეორე კურსელმა იმუშაოს სახელმწიფო სტრუქტურაში, რომელმაც შეიძლება განსაზღვროს, მაგ., სხდომაზე მყოფი საზოგადოების კერძო საკუთრების საკითხი, რომელიც შეიძლება შემდეგ პრობლემური იყოს იმ მიზეზის გამო რომ მეორე კურსელია, თუმცა სასამართლოს ვერ მოუგებენ იმიტომ, რომ ის სახელმწიფოს პოზიციას და საჯარო რეესტრი არავის პოზიციას იზიარებს. რადგან ასეთი რაოდენობა მოდის ერთ ორგანიზაციაზე, მისი მოსაზრებით დიდი დოზით ასახავს ბაზარს რადგან არ არიან ისეთი კომპანიები, რომლებსაც ამდენი კადრი სჭირდებათ, მაქსიმუმ ყავდეთ 10 კაცი და ისიც იშვიათი შემთხვევაა.

ეკონომიკის სილაბუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არ აქვს აღნიშნული სილაბუსი და არც თვლის, რომ გეოდეზისტმა ეკონომიკა უნდა იცოდეს ბაკალავრიატის დონეზე, თუმცა თუ მოთხოვნა იქნება შესაძლებელია ასეთი სილაბუსის ჩადება არჩევით საგნებში. მას უხარია, რომ არ არის ბიუჯეტთან დაკავშირებით კითხვები, თუმცა არსებობის შემთხვევაში უფრო კატეგორიული იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრის, გიორგი ლაღანიძის, კითხვა არ იყო სწორად გაგებული, მას არ უგულისხმია, რომ პროგრამაში მენეჯმენტის, მარკეტინგის და ა.შ. სილაბუსები უნდა ყოფილიყო ჩადებული, მას უნდოდა ეთქვა, რომ დაწესებულებას აქვს სილაბუსი „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, თავისუფალ კრედიტებში, ამ ჭრილში იკითხა, რომ შეიძლება საინტერესო ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ მომიჯნავე სპეციალობებში იყო ასეთი პრეცედენტი.

პროგრამის ხელმძღვანელმა გაიზიარა საბჭოს წევრის მოსაზრება.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, განაცხადა, რომ მან კითხვა დასვა კონკრეტული მიზნისთვის და ეს არ იყო რიტორიკული კითხვა, შესაბამისად კითხვის რიტორიკულად შეფასება არ იყო მიზანშეწონილი, მას ჰქონდა მარტივი კითხვა დაწესებულებასთან, რომ, როდესაც არის დიდი მოცულობის შენობა-ნაგებობა ასაგები აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს მთლიანი სურათის გაკეთებას, თუ სჭირდება სამაგისტრო პროგრამა. მშენებლობის მიმართულებით ბაკალავრიატის კურსდამთავრებულისთვის არის რაღაც სქემები და ჩარჩოები, რომლის მოცულობამდე შეძლებს აგება-დაპროექტებას, თუმცა როდესაც დიდი შენობაა, მრავალსართულიანი მას სჭირდება სამაგისტრო დონე,

პროგრამის ხელმძღვანელი არ დაეთანხმა საბჭოს წევრს, მან განაცხადა, რომ სამაგისტრო დონე შესაძლებელია დასჭირდეს მის უსაფრთხო ექსპლუატაციას, აგება სირთულეს არ წარმოადგენს.

უსაფრთხო ექსპლუატაციაში იგულისხმება დეფორმაციებზე დაკვირვება და ა.შ. მან საბჭოს წევრს სთხოვა დაეხუსტებინა რომელი იყო დიდი შენობა და რომელი არა.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ გულისხმობდა დიდი მოცულობის შენობას.

პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა მოცულობაში იგულისხმებოდა თუ რა კვადრატული მეტრი.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ იგულისხმებოდა სართულების რაოდენობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, შეიძლება მაღლივი ნაგებობის მშენებლობაში დასჭირდეს, გარკვეული ფაქტორების ცოდნა, რასაც სწავლობენ, თუმცა საქართველოში მაღლივი ნაგებობები არ შენდება, ის რაც არის მაღლივი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა განემარტა რამდენ სართულიანი შენობა იყო მაღლივი.

პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ საუბარი იყო 40 სართული და ზევით ნაგებობებზე, თუმცა ასეთი სტანდარტი არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, განაცხადა, რომ მრავალსართულიანი შენობები გულისხმობს 16 სართულამდე, ამდღებულ სართულიანი შენობები - 32 სართულამდე და მაღლივი შენობები.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გეოდეზიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით აღნიშნულ გრადაციას მნიშვნელობა არ აქვს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:31

დასრულების დრო: 18:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უსაფრთხოოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა.

რჩევები:

1. პროგრამაში უცხოური ენის სწავლება - უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს მექანიზმი, რომლის მეშვეობით მოხდება სტუდენტთა ჯგუფების დაკომპლექტება ენის ფლობის დონეების მიხედვით.

2. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც B.2 დონეზე ფლობენ უცხო ენას და მისცეს მათ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში, სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს. რაც შეეხება უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილ კრედიტებს - აითვისებენ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ასევე, ამ შემთხვევაში, სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა, აღნიშნული კრედიტები, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებმა დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე.
3. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასალათმცოდნეობა Materials Science
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №422, 24/09/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		ინჟინერიის ბაკალავრი მასალათმცოდნეობაში Bachelor of Engineering in Materials Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., №69, თბილისი, სასწავლო კორპუსი №10, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓

დ ი ა ბ

თვითაცილება განაცხადა ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ომარ კიკვიძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ რეკომენდაციები ძირითადად გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და პროგრამის შინაარსიდან, ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას და მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ. პროგრამაში გაერთიანებულია 4 მიმართულება, ესენია: მასალათმცოდნეობა, ლითონების წნევით დამუშავება, სამსხმელო წარმოება და ახალი ტექნოლოგიური პროცესები, საშემდუღებლო წარმოება. ძალიან კარგი მომენტია, რომ

პროგრამაში გაერთიანებულია საშემდგომელო წარმოება, რადგან დღევანდელი კლასიფიკატორის მიხედვით ზუსტად/თემატურადაც შედულება უნდა იყოს მასალათმცოდნეობასთან, ეს არის 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ჩანაწერი „შუალედური კვალიფიკაცია“ ამოღებული იქნას დოკუმენტაციიდან - ვიზიტის დროს გაირკვა, რომ „შუალედურ კვალიფიკაციაში“ იგულისხმებოდა ბაკალავრის კვალიფიკაცია, შესაბამისად უნდა იქნას ამოღებული;

2. გეგმაში გათვალისწინებული იქნას ზოგადტექნიკური სავალდებულო სასწავლო კურსები: თერმოდინამიკა და თბოგადაცემა, მასალების მექანიკა, „ელტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ - აღნიშნული რეკომენდაცია დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან და მათ მიღწევასთან დონეების მიხედვით, პირველი, მეორე და მესამე დონე, მაგ., სწავლის შედეგი: ანგარიშობს მასალათმცოდნეობის სხვადასხვა სფეროში გამოყენებული მასალების ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს; ამ შედეგის მიღწევისათვის უფრო გამართლებულია მექანიკის სასწავლო კურსი ვიდრე „მექანიზმების და მანქანების თეორიის და მანქანათა ნაწილების საფუძვლების“ მინიშნება, რაც გაუმართლებელია, ამ შედეგთან დაკავშირებული არ არის. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გამომდინარეობს ამ სტრუქტურიდან, რომ ეს იყოს „დეფორმირებადი სხეულის მექანიკასთან“ კერძოდ, უმჯობესია ჩასმული იქნას „მასალათა გამძლეობა“, რადგან ამ საკითხებსაც შეისწავლის და გარდა ამისა, არის სასწავლო კურსი „შენადნობის შეერთებების სიმტკიცე და კონსტრუქციების დეფორმაციები“, ამ საგნის შესწავლისთვისაც იქნება საჭირო. არის ასეთი შედეგი: „აკეთებს დასკვნას მოწყობილობებისა და ხელსაწყოების მუშაობის შესახებ“, „აფასებს ტექნოლოგიური მოწყობილობების გამართულ მუშაობას“, როგორც ცნობილია ნებისმიერი ხელსაწყო და ნებისმიერი მოწყობილობა არის, როგორც მექანიკური, ასევე ელექტრონული, დღევანდელი თანამედროვე ხელსაწყოები/მოწყობილობები ელექტრონულის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ საჭიროა, რომ „ელტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ გათვალისწინებული იქნას სასწავლო გეგმაში, მით უფრო, როდესაც შედულების ტექნოლოგიური პროცესები გათვალისწინებულია პროგრამაში, აუცილებელია ელტექნიკის ცოდნა პირველი დონიდან. გარდა ამისა, თერმოდინამიკა და თბოგადაცემა, ეს არის ზოგადტექნიკური დისციპლინა, რომელიც აუცილებელია ინჟინერისათვის, 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე. ექსპერტმა ნახა დაწესებულების წარდგენილი ანალოგები, პროგრამები, სადაც არის საგანი „მასალების გამოყენებითი თერმოდინამიკა“, „მასალების მექანიკა“, „საინჟინრო ფიზიკა 1-2“, „მასალათა გამძლეობაც“ არის, როგორც არჩევითი საგანი, „გამოყენებითი მათემატიკის მეთოდები მასალებში“, ანუ ეს პროგრამა მომავალში მძლავრად რომ განვითარდეს, მექანიკა და მათემატიკის აპარატი არის რაც შეიძლება მაქსიმალურად დასაწერგი პროგრამაში, რაც შეიძლება განხორციელდეს კურსების საშუალებითაც;

3. გადამუშავდეს სასწავლო კურსის სილაბუსი „ლითონების ფიზიკური და მექანიკური თვისებები“ - აღნიშნულ სასწავლო კურსთან მიმართებით საუბარია სწავლების მეთოდიკასთან, მაგ., მე 5 კვირაში, ერთ ლექციაზე ჩასმულია მყარი დეფორმირებადი სხეულების მექანიკის რამდენიმე თემა, რომლებიც სწავლების მეთოდიკიდან გამომდინარე, რამდენიმე ლექციაზე უნდა იქნას განხილული, ფაქტობრივად ეს არის როგორც მინიმუმ ნახევარი სემესტრის მასალა, რომ ასწავლონ და სტუდენტმა აითვისოს აღნიშნული საკითხები, ამიტომ ერთ ლექციაში ამის გადაცემა შეუძლებელია, გარდა ამისა, წარმოდგენილ სილაბუსში მე 8 კვირაში, ერთი ლექცია ეთმობა საკმაოდ ვრცელ მასალას: რღვევის თეორია, რღვევის მექანიკა, რღვევის კრიტერიუმები, რღვევის სიბლანტე. მეთოდური თვალსაზრისით ასეთი მიდგომა გაუმართლებელია. საჭიროა სასწავლო კურსის სილაბუსის გადამუშავება 2.2 სტანდარტის შეფასებაში ასახული რეკომენდაციის გათვალისწინებით. რაც არ არის გათვალისწინებული, ამიტომ ამ კურსისთვისაც განტვირთვა იქნება თუკი ჩაემატება „მასალათა გამძლეობის“ სასწავლო კურსი;

4. სილაბუსებში გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - ეს არის უნივერსიტეტის დონეზე მიღებული, დასკვნით გამოცდაზე შეფასების მინიმალური ზღვარი არის 11 ქულა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით საკმაოდ დაბალია, სტუდენტს შეუძლია დასკვნითი გამოცდა ჩააბაროს 2 ღია ტესტითა და 1 დახურული ტესტის საშუალებით, ამიტომ დატოვებს, როგორც რეკომენდაცია;

ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე - რაც კარგი იქნება, ასეთ რეკომენდაციას ხშირად გასცემენ ექსპერტები - რეკომენდაცია დაკავშირებულია უშუალოდ სწავლის შედეგებთან და საერთაშორისო გამოცდილებასთან, ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებით, რაც ასევე მნიშვნელოვანია მობილობის თვალსაზრისით, აღნიშნულ უნივერსიტეტში არის 0715 მექანიკა და ლითონის საქმე, იქ არის 2 სპეციალობა ენიჭება მექანიკის ინჟინერია და მეტალურგია, ანუ ასევე 0719-ია არაკლასიფიცირებული, მისი თქმით ზემოაღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტზეც იყო და იქ გათვალისწინებულია ზოგადი კურსები, ფაქტობრივად მობილობის შემთხვევაში მეორე კურსის მერვე კი ექნებათ სტუდენტებს განსხვავებული საგნები, ერთი ფაკულტეტიდან მეორე ფაკულტეტზე გადასვლის დროს, გარდა ამისა ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში გადასვლისას, მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანი მომენტია რომ ეს ყველაფერი სისტემაში მოვიდეს, როდესაც უყურებენ უცხოურ ანალოგ პროგრამებს ის არის იგივე სისტემით, რომლითაც ადრე იყო დალაგებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, მან განაცხადა, რომ ბევრ რამეზე დააფიქრა ექსპერტის საუბარმა.

პროგრამის ხელმძღვანელი, ზურაბ საბაშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შესრულებული სამუშაოსთვის.

ზოგადტექნიკურ საგნებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, ის საკითხები ელექტროდინამიკიდან, თბური პროცესებიდან თუ მასალათა გამძლეობიდან, სხვადასხვა საგნებში გარკვეულ ნაწილებად არის მიწოდებული, თავის საგანში თბოგადაცემასაც ასწავლის, ასევე კრედიტების რესურსიც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რაც უნდათ ყველაფერი გაშალონ, თუმცა მხედველობაში მიიღებენ, კონსულტაციებიც უკვე დაწყებულია თუ როგორ გადაწყვიტონ აღნიშნული საკითხები, გარკვეული მოსაზრებები დაწესებულების წარმომადგენლებს უკვე აქვთ, რომელთაც კონსულტაციების გავლის შემდეგ მოახსენებენ, აღნიშნული საგნების მოტივაცია იყო ის, რომ ყველაფერი რაც საჭირო იყო გარკვეული დოზით იმას ასწავლის და აძლევს. ამავე დროს საუბარი იყო შედეგებზე, რომლებთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს ფორმულირების ცვლილება, ვიზიტის დასრულების შემდეგ.

მისი განცხადებით ჩანაწერი „შუალედური კვალიფიკაცია“ უკვე ამოღებულია.

„ლითონების ფიზიკური და მექანიკური თვისებების“ სასწავლო კურსის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გასაგებია 6 კრედიტია და დიდი მასალა, მისი ვარაუდით პროფესორი ცდილობდა მაქსიმალური მასალა შეეტანა, მას დავალება უკვე მიცემული აქვს და ხდება სილაბუსის გადახედვა და ჩასწორება რეკომენდაციის შესაბამისად.

მინიმალური შეფასების შესახებ მან განმარტა, რომ ეს საუნივერსიტეტო მიდგომაა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა შეფასების მინიმალურ ზღვართან დაკავშირებით განაცხადა, რომ მაგისტრატურა-დოქტორანტურისთვის მინიმალური ზღვარი შუალედური შეფასება რომელიც 2 ნაწილად იყოფა, შუალედური შეფასება და შუალედური გამოცდა და დასკვნითი გამოცდა, აიყვანეს 51-მდე. ხოლო ბაკალავრიატთან მიმართებაში მინიმალური ზღვრებით 41 ქულას უნდა აღწევდეს სტუდენტი,

გამომდინარე ბრძანება №3-დან fx შეფასება უნდა ჰქონდეს სტუდენტს რათა ჰქონდეს დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის შესაძლებლობა, ეს არის საუნივერსიტეტო რეგულაცია, რომელიც ხისტად არის მოცემული უნივერსიტეტში, თუმცა მიდის მსჯელობა იმაზე, რომ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელი იყოს გარკვეული გამონაკლისების დაშვება, როდესაც ამის რისკი არსებობს, რაზეც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომ არ მოხდეს 11 ქულის მიღწევა ისე, რომ სწავლის შედეგზე გასვლის დადასტურება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. მთლიანობაში წარმოდგენილი რეკომენდაციები გასათვალისწინებელია და მისი მოსაზრებით დაწესებულებამ უკვე დაიწყო რეკომენდაციებზე მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრის, თეონა მატარაძის განაცხადებით მისთვის გასაგებია, რომ თავისუფალი კრედიტები არ არის პრიორიტეტული პროგრამისთვის, მაგრამ „სოციოლოგიის შესავალში“ შეუძლებელია კლასის და სტრატეგიკაციის ქულის ქვეშ ასწავლონ გენდერი და სქესი, არ შეიძლება ერთ საგნად ერთ კვირაში ასწავლონ ოჯახი, განათლება, ჯანდაცვა და რელიგია, ასევე არ შეიძლება გლობალიზაციის თემის ქვეშ ასწავლონ ეკონომიკა და ორგანიზაცია, „პოლიტიკის შესავალში“ ანალოგიური სიტუაციაა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი თემა გამოტოვებულია, როდესაც ასწავლიან შოთა რუსთაველის სოციალურ და რელიგიურ შეხედულებებს. მისთვის გასაგებია, რომ შესაძლებელია „მასალათმცოდნეობისთვის“ არ იყოს პრიორიტეტი, მაგრამ თუ ეს სილაბუსები იქნება სხვა პროგრამებშიც - ძალიან მიუღებელია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი შეფასებულია, როგორც „შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, რეკომენდაციები კი ძალიან საინტერესოა გაწერილი. საბჭოს წევრი დააფიქრა რეკომენდაციამ რომლის შესახებაც ექსპერტმა და დაწესებულების წარმომადგენელმა უკვე ისაუბრეს, სასწავლო გეგმის შესახებ. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ არ იქნება აღნიშნული სასწავლო კურსები სავალდებულოდ გათვალისწინებული ექმნება თუ არა საფრთხე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და თუ არ ემუქრება, მაშინ სავალდებულოდ გათვალისწინება რატომ არის შეთავაზებული.

ზოგადტექნიკური კურსების სწავლებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა ესაუბრათ მათ პოზიციასზე, რადგან გახდა რეკომენდაციის საფუძველი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა მოისმინეს ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებული, დასაბუთებული პოზიცია, თუმცა სთხოვა დაეკონკრეტებინათ ამ ყველაფრის მიუხედავად პროგრამა გადის თუ არა სწავლის შედეგებზე.

მან განაცხადა, რომ გადახედა „მენეჯმენტის საფუძვლების“ სილაბუსს სადაც სწავლის შედეგებში არარეალური შედეგები წერია, გარდა მენეჯმენტისა და მარკეტინგის, მან განაცხადა, რომ ეგონა ეს ეტაპი 25 წლის წინ გაიარეს, თუმცა შეიძლება დაბრუნდნენ, მიუხედავად ამისა, განაცხადა, რომ მენეჯმენტის საფუძვლები არის მენეჯმენტის საფუძველები, მარკეტინგის საფუძვლები კი მარკეტინგის საფუძვლები და შემდეგ პროგრამაშიც იგივე პრობლემაა, მან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, დავით მახვილამეს, სთხოვა პირადად მას აელო აღნიშნული საკითხი კონტროლის ქვეშ, რადგან მენეჯმენტის და მარკეტინგის საფუძვლები, ასეთი რამ აღარ ხდება და არც არასდროს ხდება, გასასწორებელია, მიუხედავად იმისა, რომ არჩევით სასწავლო კურსებშია, ეს ხდება საქართველოს ფლაგმან უნივერსიტეტში და სწორედ ამიტომ არ შეიძლება.

სასაწავლო კურსთან „ეკონომიკის პრინციპებთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ არაფერი დაშავდებოდა თუ კურსი გაიყოფოდა 2 ნაწილად და მისთვის გაუგებარია როგორ შეიძლება სტუდენტმა ერთი საგნის ფარგლებში ისწავლოს მიკრო და მაკრო ეკონომიკის პრინციპები, წარმოუდგენელია.

შრომის ბაზრის კვლევაში გამოკითხულია 9 რესპოდენტი, ისევ ისმის კითხვა, რამდენად ვალიდურია მიღებული შედეგები და რამდენად შესაძლებელია მისი გამოყენება პროგრამის განვითარებისათვის.

ექსპერტმა, ომარ კიკვიძემ შედეგებზე გასვლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ეს საკითხები გაბნეულია სხვადასხვა საგანში, შესაბამისად მაინც გადიოდნენ სწავლის შედეგზე.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა იყო თუ არა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის მიზანი, რომ გაბნეული კურსებიდან ინტეგრირდეს დამოუკიდებელ სასწავლო კურსად.

ექსპერტი, ომარ კიკვიძე დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას და განმარტა, რომ საერთაშორისო გამოცდილება ასეთი და ხელს უწყობს სტუდენტებს მობილობაში, სტუდენტები არ დაზარალებიან თვითონ უნივერსიტეტის შიგნით ფაკულტეტში, პროგრამიდან პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაშიც.

სასწავლო კურსთან „ლითონების ფიზიკური და მექანიკური თვისებები“ დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ლითონები უნდა მოეშორებინათ, რადგან ეს კურსი ეხება ზოგადად მასალებს რღვევის თეორიის ნაწილია, თუმცა ამონახსნი იყო სხვადასხვა ნივთიერებებზე, მათ შორის ფოლადებზეც, მისი მოსაზრებით უფრო ზოგადი უკეთესი იქნებოდა ყოფილიყო „მასალების ფიზიკური და მექანიკური თვისებები“, ასეც არის საერთაშორისო ანალოგებში, სასწავლო კურსიც ცოტა განიტვირთება, გამოყოფილია 6 კრედიტი, და შეიძლება გამოინახოს კრედიტები, რომლებიც ამ პროგრამისთვის აღფრთოვანებას არ იწვევს, არის ეს რესურსი, რომ პროგრამა არ დაზარალდეს.

ექსპერტმა, პარმენ ყიფიანმა, კონცენტრაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გაბნეული საკითხები თავმოყრილი ყოფილიყო ერთ დისციპლინაში, „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერიის“ სასწავლო კურსში ასწავლიან შედეგების, კვების წყაროებს, მაგრამ თუ ცალკე იქნებოდა უფრო მარტივი იქნებოდა მიღწევის გზები, ამ საკითხზე ჰქონდათ საუბარი და ასე შეთანხმდნენ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილამძემ, საბჭოს წევრის, თეონა მატარაძის კითხვის შესახებ განაცხადა, რომ აბსოლუტურად მისაღებია მისი პოზიცია, პროგრამის განმახორციელებელთა დაახლოებით 20%-თან ახლა მიდის საუბარი, როგორც პროგრამის შემადგენელ ნაწილზე. მიღწეულია შეთანხმება, რომ თავისუფალ კრედიტებში ასე მიზანმიმართულად აღარ იყოს მითითებული საგნები და შესაძლებელი იყოს იმავე საფეხურის ნებისმიერ აკრედიტებული პროგრამიდან წინაპირობების გათვალისწინებით სასწავლო კურსის არჩევა, რადგან წინაპირობები ეს არის თვალსაწიერისა და ზოგადი ცოდნის განვითარება, რაც შეიცავს გარკვეულ რისკებსაც. მითითებულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ სასწავლო კურსების გადამუშავების პროცესი მიმდინარეობს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა იზიარებდნენ თუ არა აღნიშნულ მოსაზრებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ. მან განაცხადა, რომ დასრულდა დაწესებულების ინტენსიური შეხვედრები საბჭოსთან, ზღვაში წვეთია გაკეთებული, 300-მდე სასწავლო კურსი, მათ შორის კურსის სპეციფიკა შეფასების სისტემით, თუმცა სულ 7400 სასწავლო კურსია და დროს მოითხოვს, რათა შევიდნენ დეტალებში, ძალიან რთული პროცესი მიმდინარეობს, ამიტომ მას სურდა მადლობა გადაეხადა საბჭოსთვის.

საბჭოს წევრის, გიორგი ლაღანიძის კითხვის შესახებ მან განაცხადა, რომ ბავშვობაში ინგლისური რომ გაეუმჯობესებინა Euronews-ს უყურებდა ხოლმე და იქ იყო ასეთი მომენტი no comment ეწერა, ასეთი შემთხვევაა ზუსტად, მენეჯმენტსა და მარკეტინგს ერთად რომ ხედავენ არ სჭირდება კომენტარი, ესეც ქვაბში იხარშება, როდესაც ეს ყველაფერი იცვლება, ამასთანავე უნივერსიტეტს აქვს სასწავლო კურსების კლონის პრობლემა, როდესაც ეს 7400 კურსი ნამდვილად გახდება 4000 მისი დაკვირვებით, რადგან არის ბევრი მსგავსი სახელი, მან აღნიშნა, რომ ამთ პროფესორებს უყვართ სწავლის შედეგების ლამაზად წარმოჩენა, იმაზე გაცილებით მეტის ჩადება უნდათ, ვიდრე კურსს შეუძლია, რასაც მუდმივად ასწორებენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ზურაბ საბაშვილმა, ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბანალური იქნება პანდემიას რომ დააბრალოს რესპოდენტების სიმცირე, მას სურდა ჩამოეთვალა ის ძირითადი დამსაქმებლები, რომლებთანაც ჰქონდათ ურთიერთობა, პირველ რიგში ეს არის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელთანაც მჭიდრო კავშირი აქვთ და დღესაც მუშაობენ მათი კურსდამთავრებულები, დოქტორანტურაზეც აბარებენ და ერთ-ერთი მოჰყავთ კიდეც ასისტენტ-პროფესორად.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, დააზუსტა, ინსტიტუტში მუშაობდნენ თუ არა ბაკალავრები. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საუბარი იყო მაგისტრანტებსა და დოქტორანტებზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა პროგრამის ხელმძღვანელს სთხოვა ესაუბრა ბაკალავრიატის პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამით დაადასტურა მჭიდრო კავშირი მათთან, ასევე შპს „ვაგონ-შემკეთებელი კომპანიასთან“, მრავალწლიანი ურთიერთობები და გაფორმებული მემორანდუმები აქვთ; შპს „კავკასუს მეტალგრუპი-სიემჯი“, რომელიც რუსთავშია და ყოველთვის უხარიათ ბაკალავრების პრაქტიკაზე მიღება; შპს „ჯეო-ფერომეტალი“, რომელიც ასევე რუსთავშია; შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ - ეს არის ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხანა, რომელიც მასალათმცოდნეობის გარეშე წარმოუდგენელია. საუბარი ჰქონდათ სამთო ინსტიტუტთან, სადაც მათი კოლეგები მუშაობენ, თუმცა გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის; ასევე, საუბარი იყო „დელტასთან“, სადაც კიდეც ბევრი საკითხია მოსაგვარებელი, რადგან გასამხედროებულია და არის გარკვეული პრობლემები; შპს „პლაზმა 2“, რომელიც მუშაობს პლაზმურ ტექნოლოგიებზე. დაწესებულების წარმომადგენლებს დიდი სურვილი ჰქონდათ ელმავალ მშენებელ ქარხანასთან გაეფორმებინათ მემორანდუმი, თუმცა იმ პერიოდში არ მუშაობდნენ, შეკვეთები არ აქვთ, ხან მუშაობენ ხან, არა რადგან პანდემიის პერიოდი დაემთხვა. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს რუსთავში ჩასვლა, რადგან იქ სხვა ბევრი ქარხანაა და მათ დაგეგმილი აქვთ მოიარონ სადაც რა წარმოებაა სერიოზული და სჭირდებათ სპეციალისტები.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი შეიცავს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს, მისთვის უცნობია ეს დარგის სპეციფიკით არის თუ არა გათვალისწინებული, რომ არსებობდეს ჩამონათვალი ლიტერატურისა, რომელიც საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სტუდენტმა, ამასთანავე მისი მოსაზრებით ეს ის ჩამონათვალია, რომელიც გაზნეული იქნება სასწავლო კურსებში, დაინტერესდა თუ რითი იყო განპირობებული.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს პრობლემა, მაგრამ რა ყველა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში ნამდვილად იყო, რადგან პერიოდის წინ შექმნილი სილაბუსია და დაწესებულებამ მარტივად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი, არის ეს პრობლემა და არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება აღნიშნული ლიტერატურის ჩამონათვალი, ზუსტად იცის რაზეც საუბრობდა საბჭოს წევრი, რადგან თვითონაც დასვა აღნიშნული კითხვა. აღნიშნული საკითხი გასწორებულია, საბაკალავრო ნაშრომს საერთოდ სხვა მიმართულება აქვს და არა მითითებული ლიტერატურის გამოყენება.

პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ ავტორმა ყველა ქართული ლიტერატურა მიუთითა სილაბუსში, რაც კი ამ კუთხით არსებობს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ლოგიკა იყო აბსოლუტურად არასწორი ამ სახელმძღვანელოების მითითების, საუბარია იმაზე, თუ რას შეიძლება შეეხოს საბაკალავრო ნაშრომის დროს სტუდენტი, არ არის სწორად გადმოცემული.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:30**

დასრულების დრო: 19:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. სასწავლო კურსებში „სოციოლოგიის შესავალი“, „პოლიტიკის საფუძვლები“ შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში სათაურთან. სასწავლო კურსი „მენეჯმენტი და მარკეტინგი“ შეიცავლოს რელევანტური კურსებით (მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები).
3. რეკომენდებულია გადამუშავდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი და ჩამოყალიბდეს კომპონენტის შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით
4. ეკონომიკის პრინციპები მიზანშეწონილია ისწავლებოდეს ორ სემესტრად.
5. ზოგიერთ სილაბუსში სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი.
6. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
7. რეკომენდებულია პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეტალურგია Metallurgy
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №421, 24/09/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი მეტალურგიაში Bachelor of Engineering (BEng) in Metallurgy
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., №69ა, თბილისი, სასწავლო კორპუსი №10, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓

დ ი ა ხ

თვითაცილება განაცხადა ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მექსე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ომარ კიკვიძემ დაადასტურა ღრმა პატივისცემა პროგრამისა და მისი აკადემიური პერსონალის მიმართ. დასკვნის/რეკომენდაციის წერისას მან გაითვალისწინა ის პოზიცია, რომელიც უკვე დააფიქსირა სამაგისტრო-სადოქტორო პროგრამებზე, იქ იყო საუბარი კლასიფიკატორის/დეტალური სფეროს აღმწერთან, რაც ეხებოდა მანქანებსა და მოწყობილობებს დიდი დატვირთვა იყო პროგრამის სწავლის შედეგებზე, თუმცა ბაკალავრიატის პროგრამაში ასევე არის ღუმელებთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა მეტალურგიას, გარდა ამისა წარმოდგენილი იყო პროგრამა, რომ სრულად კმაყოფილდებოდა აღმწერი. 0715 მექანიკა და ლითონის საგნები, ცალკე გამოყოფილი მექანიკა არ არის სასწავლო კურსი, რაც არ არის სასარგებლო, უკეთესი იქნებოდა მექანიკა ყოფილიყო გამოკვეთილი მით უფრო ანალოგიურ პროგრამებში, რაც თავად აქვთ წარმოდგენილი მექანიკისთვის გამოყოფილია 7.5 კრედიტი, ასევე არის ფიზიკა 1, 2, რაც კარგი იქნება და წაადგება სწავლის შედეგის მიღწევას, რაც დაკავშირებულია, მაგ., ტექნოლოგიურ და აპარატურულ ნაწილს, კინემატიკურ და ძალოვან მახასიათებლებს, ძალოვანი მახასიათებლების დახასიათება, მექანიკის პროგრამაში წარმოუდგენელია, მიღწევადია, თუმცა არ ჩანს გამოკვეთილად, არ შეიძლება ითქვას, რომ შედეგი არ მიიღწევა, სხვა შედეგები მიღწევადია იმ ნუმერაციით რაც ასახულია, დააზუსტა, რომ ყველა შედეგი მიღწევადია, განსაკუთრებით მესამე და მეხუთე შედეგები.

მეოთხე რეკომენდაციის (სასწავლო კურსში „მეტალურგიული ღუმელები“, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების თემები დალაგდეს ლექციის თემის შესაბამისად), განაცხადა, რომ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მეორდება საკითხები. მაგ: სასწავლო კურსები მეტალურგიული პროცესების თეორია (6 კრედიტი) და მეტალურგიული ღუმელები (5 კრედიტი) სასწავლო გეგმაში მესამე სემესტრშია ჩასმული. ორივე კურსში ისწავლება თერმოდინამიკის ზოგადი ცნებები და თერმოდინამიკის კანონები. ეს საკითხები უნდა ისწავლებოდეს ზოგადტექნიკურ კურსში. სასწავლო კურსში მეტალურგიული ღუმელები ლექციის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების თემები ნომრის (კვირის) მიხედვით არ არის კავშირში. მაგ: მე-6 კვირაში ისწავლება იდეალური სითხის დინამიკა. პრაქტიკულ მეცადინეობებზე მე-6, მე-7 კვირაში განიხილება ბუნებრივი აირის და მაზუთის წვის ანგარიში, ლაბორატორიულ სამუშაოში კი თხევადი სათბობის სიბლანტის კოეფიციენტის განსაზღვრა გათვალისწინებულია მე-8, მე-9 კვირაში. საჭიროა მეცადინეობების თემების ლოგიკური დალაგება. სასურველია გაიზარდოს სასწავლო კურსის ტექნიკური ხაზვის საფუძვლები კრედიტების რაოდენობა.

ერთ-ერთ რჩევასთან დაკავშირებით (სასწავლო კურსი „ლითონების წნევით დამუშავება“ თავისუფალი კომპონენტების ბლოკიდან სასურველია გადატანილი იქნას სავალდებულო სპეციალურ კურსებში) განაცხადა, რომ ეს არის არსებითი და არ უნდა იყოს რჩევა, დაშვებულია შეცდომა, უნდა გაწერილიყო რეკომენდაციად. ერთი სადოქტორო დისერტაცია მოიცავდა სრულიად ამ ციკლს, ლითონის პროდუქციის წარმოებისა, რომელიც ჩადებულია 0715-ში, გამლღვალი ფოლადიდან როგორ მიიღება მილები ზუსტად ეს პროცესები ღუმელის გარდა დაკავშირებულია წნევით დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებთან, რომელიც უნდა ისწავლებოდეს და ახლა არის არჩევითი კურსი და უნდა იყოს სავალდებულო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყო უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორი და აკადემიური საბჭოს წევრი - ომარ მიქაძე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ მიქაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დადებითი შეფასებისთვის, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფთან ურთიერთობა დაამთავრეს მეგობრულად, სასიამოვნო იყო მათთან მუშაობა და უკვალოდ არ გაუვლია ამ პროცესსა და რეკომენდაციებს.

მექანიკის შესახებ მან განაცხადა, რომ უკვე მოიპოვეს რეზერვი და შეიყვანენ სასწავლო კურსში, რადგან არიან მექანიკის ჯგუფის ჩარჩოში, პირველი ეტაპი იქნება წნევით დამუშავების გადატანა სავალდებულო სასწავლო კურსთა ნუსხაში, მისი თქმით ეს იყო გაუგებრობა, რადგან აღნიშნული საგანი ტრადიციულად იყო პროგრამაში ყველა საფეხურზე და ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

ღუმელებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არის კლასიკური საგანი, რომელიც არის აბსოლუტურად ყველა უნივერსიტეტში, სადაც არის მეტალურგიული სფერო და უზომოდ დიდი საგანი იყო ყოველთვის, ძველ დროში სამ სემესტრად გადიოდნენ აღნიშნულ საგანს, აქ იყო ტექნიკური თერმოდინამიკაც. ისეთი თბოტექნიკა, როგორც გადის ღუმელებში პრაქტიკულად უნიკალურია, სწავლობენ ცეცხლგამძლე მასალებს, მათ თერმოდინამიკურ თვისებებს, თერმოენერგო პარამეტრებს, თუ დნობას ატარებენ სხვადასხვა ლითონებზე, მენდელეევის ცხრილში არის 90 ლითონი და თუ აიღებენ ვოლფრამს, მისი დნობის ტემპერატურა არის 3422 გრადუსი, როგორი პროცესი მიდის ღუმელში, როდესაც ლითონთან მუშაობენ, ძალიან საინტერესო საგანია და გამოსწორდება უმოკლეს დროში.

აღნიშნული კათედრა არის ერთადერთი რეგიონში, რომელიც მუშაობს, აქ იცავდნენ დისერტაციებს აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ირანიდან და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში გამოკითხულია 10 რესპოდენტი, მეთოდოლოგიის გარეშე, რაც იწვევს კითხვებს ვალიდურობის შესახებ. აღნიშნულ პროგრამაზე არის სასწავლო კურსი „მენეჯმენტი და მარკეტინგი“ მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი კრედიტებია, უნდა იყოს მენეჯმენტის საფუძვლები ცალკე, მარკეტინგის საფუძვლები ცალკე, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია და ეკონომიკის პრინციპები არის ერთ სემესტრად, თუმცა მიზანშეწონილია იყოს ორ სემესტრად. ბიუჯეტთან დაკავშირებით კომენტარი არ ჰქონდა, რადგან შესაბამისი „ფოლდერი“ ცარიელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს გადაემოწმებინათ ხომ არ იყო ტექნიკური ხარვეზი.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო და აუცილებლად გაარკვევდა.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, გაიმეორა კითხვა სოციოლოგიის შესავლისა და პოლიტიკის საფუძვლების შესახებ.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, განაცხადა, რომ თუკი არ იყო მასალათა მექანიკის ნაწილი წარმოდგენილი სათანადოდ, როგორ ხერხდებოდა ფოლადის სათანადო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების განსაზღვრა, როგორცაა სიმტკიცე, დენადობის ზღვარი და ა.შ, რომელი სასწავლო კურსით ხდებოდა განსაზღვრა.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, განაცხადა, რომ ცოტა უხერხულად გრძნობს თავს, რადგან დარგისგან შორს არის, თუმცა თვალში მოხვდა ჩანაწერი დასკვნაში: „დამსაქმებელთა გამოკითხვასთან დაკავშირებით თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ დარგის წარმომადგენლებმა განახორციელეს აქტიური ჩართულობა პროგრამის სრულყოფის პროცესში. შესაბამისად ამისა, პროგრამაში აისახა ახალი საგანმანათლებლო საგნები:

„მასალათგამძლეობა“, „ფილოსოფია“, „საწარმოო პრაქტიკა“ და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის აუცილებლობა. მათ გამოხმაურებებში გამოითქვა მოსაზრება „საწარმოო პრაქტიკის“ მეტი ფუნქციური დატვირთვის აუცილებლობის საჭიროებაზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საგანი „მასალათგამძლეობა“ არ არის პროგრამაში შეტანილი.“ სთხოვა დაეზუსტებინათ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია რომ უნდა იყო შეტანილი, თუ რომ არ არის ამით არაფერი შავდება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, ექსპერტებს მადლობა გადაუხადა შესრულებული სამუშაოსა და სკურპულოზურად დაწერილი დასკვნისთვის, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წინასწარ უპასუხა მის კითხვებს, რისთვისაც კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არჩეულ სილაბუსებში, რომელთაც სხვადასხვა სწავლის შედეგი აქვს და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნორმალურად არის ჩამოყალიბებული, ამ სწავლის შედეგების შეფასება კი ხდება თითქმის იდენტური მეთოდებით, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად ვალიდურია შეფასების სისტემა და ამ მხრივ დაწესებულებას რაიმე რჩევას ხომ არ მისცემდნენ შეფასების მეთოდების გადახედვის შემდეგ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრის, თამარ ჩხეიძის კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის ოქმი №4, თვითშეფასების ჯგუფის შეკრების ოქმი, სადაც ეწერა, რომ „მასალათა გამძლეობა“ უნდა შეტანილიყო სასწავლო გეგმაში, თუმცა მის მაგივრად შევიდა „მექანიკა“, რაც მისაღებია, შესაბამისად დაკმაყოფილდება ოქმი №4-ის გადაწყვეტილება და პროგრამაც გაუმჯობესდება, რადგან „მასალათა გამძლეობა“ წინაპირობა იქნება „ლითონების წნევით დამუშავების“ სასწავლო კურსის, რომელიც აუცილებლად სავალდებულო საგანი უნდა იყოს.

მან საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჯობია იყოს განსხვავებული შეფასების მეთოდები, მაგრამ მისი მოსაზრებით მომავალში, როდესაც დაიხვეწება პროგრამა იქნება შეფასების განახლებული სისტემაც.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასძინა, რომ ამ პროცესის მიზანია დაეხმარონ დაწესებულებას ყურადღება მიაქციოს ხარვეზებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მარკეტინგისა და მენეჯმენტის პრინციპებზე უკვე ისაუბრეს, ეკონომიკაზე კი აბსოლუტურად დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ერთ სემესტრში შეუძლებელია ნორმალურად, სრულყოფილად, რომ იყოს ნასწავლი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ჯერ უნდა განხილულიყო აღნიშნული პროგრამა და შემდეგ „მასალათმცოდნეობა“, რადგან აღნიშნული პროგრამა ამზადებს ლიპტონს მასალათმცოდნეობას და შემდეგ ისინი ამუშავებენ, აღნიშნული სპეციალობის ტექნოლოგია არის მადნიდან დაწყებული თხევადი ლითონებით დამთავრებული, ანუ თხევადი ლითონის ჩამოსხმა სხვადასხვა ფორმებში ამით მთავრდება მათი ფუნქცია, შემდეგ იწყება მათი შესწავლა მექანიკური ფუნქციების და ა.შ., რაც მასალათმცოდნეობისა და ლითონმცოდნეობის საქმეა, ამიტომ პრინციპში „მექანიკის“ სწავლა უფრო ზოგადი განათლებისთვის არის საჭირო, ვიდრე იმ შედეგზე გასასვლელად, რასაც დეტალური სფეროს აღმწერი ავალდებულებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა 10 რესპოდენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რა თქმა უნდა კარგი იქნებოდა მეტი ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში იყო ორი ქარხანა და მათი დასკვნა აბსოლუტურად საკმარისი იყო, ერთ-ერთი იყო მეტალურგიული ქარხანა, სადაც ტექნიკური უნივერსიტეტიდან ნაწილდებოდა 71 სპეციალობა და ზესტაფონის ქარხანა. ამ ეტაპზე საქართველოში მუშაობს დაახლოებით 17 მეტალურგიული წარმოება, ძირითადად ეს არის ფეროშენადნობებთან დაკავშირებით, მაგრამ ალუმინის წარმოებაც არის, გადადნობა და ა.შ. ამიტომ მათი დასკვნა სრულიად საკმარისია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ახსენა დოქტორანტი, რომელმაც დისერტაცია დაიცვა, სადაც ლებულობენ თხევად ლითონს და უწყვეტად ლებულობენ ნაკერიან მილს. აღნიშნული სტუდენტი იყო ამ პროგრამის ბაკალავრიც,

მაგისტრიც და დოქტორიც, შესაბამისად მისი რჩევა მნიშვნელოვანია, რადგან ჩახედულია სასწავლო პროცესში და ასევე კარგად იციან რა სჭირდებათ უნივერსიტეტის მიერ გაშვებული სპეციალისტებისგან.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, პროგრამის ხელმძღვანელი ერთ-ერთი გამორჩეულია მათ შორის, რადგან ძალიან ძლიერი კონტაქტები აქვს ამ დარგის კუთხით მსოფლიო მასშტაბით და მას ხშირად სტუმრობენ, თვითონაც ხშირად მიდის საზღვარგარეთ სხვადასხვა პროექტებისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისთვის ეტალონი არის ლუქსემბურგი, რომელიც 70 კილომეტრია სიგრძეში და 40 კილომეტრი სიგანეში, ადნობდა 3 მილიონ ტონა ფოლადს წელიწადში, როდესაც საქართველოში რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ადნობდა მილიონ ნახევარ ტონას, პრაქტიკულად ეს დარგი აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას მოკლე ვადაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:14

დასრულების დრო: 20:34

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსი ლითონების წნევით დამუშავება თავისუფალი კომპონენტების ბლოკიდან სასურველია გადატანილი იქნას სავალდებულო სპეციალურ კურსებში;
2. რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის კურსების შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სახელწოდებასთან („სოციოლოგიის შესავალი“, „პოლიტიკის საფუძვლები“, „ფილოსოფიის საფუძვლები“).
3. სასწავლო კურსი „მენეჯმენტი და მარკეტინგი“ შეიცავლოს რელევანტური კურსებით (მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები).
4. ზოგიერთ სილაბუსში სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი.
5. რეკომენდირებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად.
6. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოხდეს მატერიალური რესურსების განახლება და მოდერნიზება.
7. მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის ბიუჯეტში პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.
8. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
9. რეკომენდირებულია პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 2021 წლის 2 ივლისის 20:35 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

